



ციხესიმაგრე

№ 115 / 12 - 18 ნოემბერი / 2012

როგორ წარიმართა მიმულსენის არჩევნები? **გვ. 10**

გარე ახალადა - ექსპიციისტრი და პატიმარი **გვ. 24**

დაცესეპულება N18 **გვ. 28**

„კვირის ქრონიკის“ შავი სია **გვ. 32**

საზ. მაუწყებელი ფინანსური აუდიტის აირისაირ **გვ. 36**

დავა თბილისის მერიასა და მთავრობას შორის **გვ. 38**

შრომის დაუცველი უფლებას საქართველოში **გვ. 40**

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



"ხელი და მძინავება" ნიბვზიანში

გვ. 16

ՈՅԹՅԸ
ՁԵՎԵՐԸ ԿԲԵՐ
ՏԱԿԱՑՑՔԱՅԻՔ



	POS.	FREQ.	STD.	SR.	FEC.
EUTELSAT 36B	36°	11446 H	DVB-S	2222	3/4
HOTBIRD 13A	13°	11585 V	DVB-S	27500	3/4
TURKSAT 3A	42°	12639 V	DVB-S	4070	5/6

მთავარი რედაქტორი

შორქა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი

ლიკა ზაკაშვილი

რედაქტორი

ნინო ბექიშვილი

სოფო ბუგა

შრედალისტები:

ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ ვარდაშვილი,
თათა ხალანი, ანი ჭანკოტაძე,
თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა,
გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური,
ეკა მალაძეძე, ლევან ახალანა,
ლაშა ქავარაძე

პოლიტიკური:

დემის პოლანდოვი, სოფოი თოლუა,
ბექა ჭურულია, ლელა რეზვაშვილი

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი

ლევან ხერხეულიძე

გრაფიკული დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი

ნინო ბექიშვილი

კორექტორი

თამარ ღონიშვილი

გამოცემლება:

დირექტორი

ქეოვან ბაზუნაშვილი

გაყიდვებისა და გინერაციის

განვითარების მინისტრი

რუსული ბარაზე

გაყიდვების მინისტრი:

სოფო პაპუნაშვილი

მარკეტინგის მინისტრი:

ელენე ხარაზაშვილი

დისტრიბუტორი:

მიხეილ გამუჩიშვილი

შურწალის გამოწერის მსურველები

დაგვიკავშირისათვის: 247 10 05.



„ჩიორა თაქთაქიშვილი, აკაკი ბობოხიძე, მარიკა ვერულაშვილი, ლევან ბეჟაშვილი, დავით დარჩიაშვილი, ზურაბ მელიქიშვილი, გოგა ხაჩიძე... დეპუტატები სასამართლოს დერეფანში, რიგში დგანან და ტელეონების ჩამორთმევის გამო უქმაყოფილებას გამოთქვამენ... პროცესს კამერით არ გადაიღებენ? – კითხვას სვამი მარიკა ვერულაშვილი“.

ეს ამონარიდია ზურაბ ვარდიაშვილის სტატიიდან „ბაზი ახალია – ექსმინისტრი და პატიმარი“. დეპუტატები იმ სასამართლო პროცესზე აპირებდნენ შესვლას, სადაც ბაზი ახალიასთავის ბრალი უნდა ნაეყენებინათ.

რამდენადაც მარიკა ვერულაშვილის რეპლიკა ღიმილისმომგვრელი, რადგან სასამართლო დარბაზებში ფოტო და ვიდეო გადაღებები სწორედ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აკრძალა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ასეთივე ღიმილისმომგვრელია მათ მიერ მყისიერად მორგებული „უმცირესობის“ როლი. თითქმის 9 წლის ქვეყანას ეს პარტია და ეს ღიდერები კი არა, „სხვები“ მართავდნენ. თუმცა, ახალი უმცირესობის პოლიტიკური რიტორიკა ღიმილის-მომგვრელი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ მყარი ნერვები და მყარი არგუმენტები გაქცეს.

საბორჯაროა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, მთელ თავის პოლიტიკურ ძალისხმევას, ჯერჯერობით, პროცესის საბოტაჟირებას და ისტერიულ დემარშებს ახმარს, ახალანას გმირად შერაცხვიდან, სოციალური საკითხებით გულანთებული გიგი უგულავას მთავრობის სხდომაზე გამოჩენითა და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ფინანსური აუდიტის „მედიაზე ზენოლად“ შერაცხვით. ჰო, გიგი უგულავა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას ითხოვს და აპროტესტებს... ეს მაშინ, როცა „თბილისის მერია“ ერთ-ერთი ყველაზე დახურული სახელმწიფო უწყება იყო, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზისით.

ზოგადად, პოლიტიკურ პროცესებში, შანტაჟი არა მგონია მომგებიანი სტრატეგია იყოს. ერთი მხრივ, ეს მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ მარგინალიზებას გამოიწვევს და სულ უფრო მეტად დააკარგვნებს მათ არგუმენტებს წინას, მეორე მხრივ, ვერაფერ სასარგებლოს ვერ შესძენს პოლიტიკურ რეალობას. ხელისუფლებაში მოსულ კოალიციას ჰერივით სჭირდება ოპონირება, კონკრეტულ თემებსა თუ საკითხებზე. ისტერიკა კი ასეთი ოპონირებისათვის ადგილს არ ტოვებს და მისი ასხლეტვაც, ასეთ პირობებში, ბევრად უფრო იოლია.

„კოალიციის“ შიგნით არსებული აზრთა სხვადასხვაობაც ვერასოდეს იხილავს დღის სინათლეს და მივიღებთ ახალ მონოლითს, რაც, დემოკრატიული მმართველობისათვის ხელ-საყრელი ნამდვილად არ იქნება. რაც უნდა პარადოქსულად უღერდეს, ახლა „ნაცებისთვის“ თვითგადარჩენის საუკეთესო სტრატეგია არა ვიწრო პარტიული ინსტინქტებით ოპერირება, არამედ სახელმწიფოებრივად აზროვნებაა.

დაბოლოს, კარგი იქნება, თუ მაღლ დასრულდება უტიფრობის კამპანია და გადავალთ საქმეზე. საქმე, ლაპარაკის ნაცვლად, ძვირფასო ნაციონალებო.

შორქა შავერდაშვილი



ბაზო ახალი - ცასმინისტრი და პატიმანი

9 ნოემბერს, შუადღის 14 საათისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს პირველი სართულის გრძელი დერეფანი ხალხით იყო გადაჭედილი. პრესის, ტელევიზიის, რადიოების, ონლაინ გამოცემების რეპორტიორები, დეპუტატები და სხვა მოქალაქეები ნომერ მეორე სასამართლო დარბაზში მოხვედრას ცდილობდნენ. თუმცა, მომცრო ზომის დარბაზში, სადაც ორმოცოდე ადამიანი ეტევა, მსურველთა მხოლოდ მცირე ნაწილი მოხვდა.

პროცესისადმი უპრეცედენტო ყურადღება იმით იყო გამოწვეული რომ საქმე შს ყოფილი მინისტრის, ბაზო ახალიასთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებას ეხებოდა.

ზურაბ ვარდიაშვილი
გვ.24

"ნაბიჯ-ნაბიჯ ჩლვევის ისტორია"

რიყებზე თითქმის დასრულებულია იტალიელი არქიტექტორის, მასიმილიანო ფუქსასის დაპროექტებული თეატრის მშენებლობა, თუმცა ამ შენობებით საზოგადოების ნაწილი აღშფოთებულია. კონსტრუქციების დაშლის მოთხოვნით საპროტესტო აქციაც გაიმართა.

„ლიბერალი“ თბილისის არქიტექტურის ზოგადი ტენდენციების შესახებ ქალაქდამგეგმარებელ ზურაბ ბაქრაძეს ესაუბრა.

ანი ჭანკოტაძე
გვ.12

"ხელი და მძვინვარება" ნიბვზისანში

გურიის სოფელ ნიგვზიანის ცენტრში უჩვეულო ხალხმრავლობაა. ავტომაგისტრალის პირას, ავტობუსების გაჩერებასთან სოფლის მოსახლეობა ხშირად იკრიბება, თუმცა ამდენი – იშვიათად. დღეს აქ ათეულობით არიან: ახალგაზრდები, მოხუცები, ბავშვები... მიუხედავად იმისა, რომ პარასკევია, დღის 12 საათი, სკოლაში კი ჯერ მესამე ან მეოთხე გაკვეთილი უნდა იყოს, თავშეყრის ადგილას მოსწავლეებიც ბევრი არიან. დღეს ისინი გაკვეთილებს არ დასწრებიან – არც მშობლები ყოფილან ამის წინააღმდეგი: ის, რაც დღეს სოფლის ცენტრში ხდება, მათთვის ბევრად მნიშვნელოვანია.



თინა ყიფშიძე, გომრგი გოგუა
გვ.16

ლანესებულება N18

გლდანის ციხის საზოგადოებრივი მისალების წინ, პატარა, მწვანე სკვერი გრძელი, ჩუქურთმებიანი სკამებითაა გარშემორტყმული. სკვერის კუთხეში თეთრი ქვიშით მოფენილი კუთხე პატარა ბავშვებს ეკუთვნით. საქანელების გვერდით სასრიალოა დამონტაჟებული, მულტფილმების პერსონათა პლასტმასის ფერადი დეკორაციები გასართობი ცენტრის განწყობას ქმნის.

საზოგადოებრივი მისალებიდან ციხის ეზოში გამაგალ მძიმე კარს დაცვა მოთხოვნისთანავე აღებს. ეზოში რამდენიმე ათეული მანქანა დგას, ვახტებზე შეიარაღებული მცველები ბოლოს სცემენ.

ზურაბ ვარდიაშვილი
გვ.28

ფოტოჩარჩოება

ცხოვრება თბილისის ზღვაზე



გიორგი გოგუა
გვ.50-55

გამოცხადება:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ქლენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცხადება:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

შურზალში გამოკვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ჩატვა:

სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორსაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ნომერი:



ალექსანდრე გარება
მისამართის მდგრადი

- 04 მოკლედ
- 06 ციტატები
- ორი აზრი**
- 08 უნდა შეიქმნას თუ არა პარლამენტის საგამოძიებო კომისია?
- 10 ლევან ბერძენიშვილი vs სერგო რატიანი
კომენტარი
- 10 როგორ წარიმართა ომბუდსმენის არჩევის პროცესი?
- მედია**
- 32 „კვირის ქრონიკის“ შავი სია
- 36 საზოგადოებრივი მაუწყებელი ფინანსური აუდიტის პირისპირ
საზოგადოება
- 38 დავა თბილისის მერიასა და მთავრობას შორის
- 40 შრომის დაუცველი უფლება საქართველოში
- 44 გიორგი მენაბდის საქმე
რეიტინგი
- 48 „პრინციპული აფხაზი ეკოლოგები“
კომენტარი
- 56 სოციალური ქსელებიდან მეინსტრიმ მედიამდე - პოლიტიკური მონაწილეობის ახალი ფორმები
- 58 პარლამენტი
ქადაგში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 60 ლამ-ლამობით, ლამ-ლამობით, თქვე ჩემა!

ახალი ათასი ქართველი



ათენის ქუჩებში, „შეკვეცების პაკეტის“ წინააღმდეგ დაწყებულ რამდენიმედღიან აქციას, პოლიციასა და აქციის მონაწილეებს შორის შეტაკება მოჰყვა. მოსახლეობის ნაწილის გამოსვლა ძალადობაში მაშინ გადაიზარდა, როდესაც დემონსტრაციები მთავარ მოედანზე შეიკრიბნენ, პარლამენტის წევრები კი „ქამრების შემოჭრის“ ზომების განსახილველად ემზადებოდნენ.

დემონსტრაციების ნასროლ „მოლოტოვის კოქტეილებს“ სამართალდამცავებმა ცრემლსადენი გაზის გაშვებით უპასუხეს, რამაც ათენის ქუჩებში რამდენიმესათიანი არეულობა გამოიწვია. არეულობის გამო დროებით შეფერხდა პარლამენტის მუშაობაც.

მიუხედავად დემონსტრაციებისა და საპარლამენტო ოპოზიციის წინააღმდეგობისა, საბერძნების პარლამენტმა მაინც მიიღო განსახილველად საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც საბიჯეტო სახსრების 17 მლრდ ევროთი შემცირებას გულისხმის და რომელიც გადასახადების გაზრდასა და პენსიების შემცირებას გამოიწვევს. რამდენიმე წნის წინ, პრემიერ-მინისტრმა ანტონის სამარასმა კანონმდებლები გააფრთხილა, რომ შეკვეცების პაკეტის იგნორირების შემთხვევაში, საბერძნების ფულადი რესურსები თვის პოლოს ამოინურება, რაც ქვეყნისთვის კოლაფსის ტოლფასი იქნება. თითქმის ხუთი წელია საბერძნების ეკონომიკა რეცესიულია, ხოლო მოსახლეობის მეოთხედი დაუსაქმებელი.

სიჩივი რაოზისი ძალაზი ბარი ბარი ბარი ბარი ბარი

8 ნოემბერს კატარის დედაქალაქ დოჰაში, სირიული ოპოზიციური ძალები შეიკრიბნენ. შეხვედრის მიზანს ასადის მთავრობის წინააღმდეგ მძლავრი პოლიტიკური ერთობის ჩამოყალიბება წარმოადგენს. შეხვედრა არაბული ლიგისა და სირიის მეგობართა საერთაშორისო ჯგუფის მხარდაჭერით იმართება, რომლის ფარგლებშიც, დოჰაში, დასავლეთის რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენებლია ჩასული.

ბოლო დრომდე სირიის ეროვნული საბჭო ასადის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ მთავარ ძალად განიხილებოდა, თუმცა უკანასკნელ ხანებში მან როგორც საერთაშორისო მეგობრობის, ასევე ადგილობრივი ძალების მხარდაჭერა დაკარგა. რამდენიმე დღის წინ აშშ-მა სირიულ ოპოზიციურ ძალებს გაერთიანებისაკენ მოუწოდა და იმედი გამოთქვა, რომ ოპოზიციურ ერთობაში სირიის ეროვნულ საბჭოს არ ექნება ერთპიროვნული ძალაუფლება.

დოპაში შეკრებილი ოპოზიციის წარმომადგენლები შეხვედრას პოზიტიურად აფასებენ და აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკებები საერთო პოლიტიკური ფრონტის ჩამოყალიბებაზე წარმატებით მიმდინარეობს.

ცნობილი სირიელი დისიდენტის რიად სეიფის თქმით, მოლაპარაკებების პირველი დღე კონკრეტული შედეგით დასრულდა, რამდენადაც სირიის ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები დათანხმდნენ 60-კაციანი ოპოზიციური ჯგუფის შექმნას, რომელშიც ასადის რეჟიმთან დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების ფართო სპექტრი იქნება წარმოდგენილი.

ახალი პოლიტიკური მათავრობის მოცველეები

არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში მასშტაბური ანტისამთავრობო გამოსვლები დაიწყო. ოპოზიციური ძალებისა და მოსახლეობის ნაწილის მობილიზება სოციალური ქსელებით

მოხდა. პრეზიდენტ კრისტინა ფერნანდესისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ გამართული დემონსტრაცია უკვე შეფასადა ბოლო ათწლეულის ყველაზე დიდ ანტისამთავრობო გამოსვლად არგენტინაში.

აქციის მონაწილეთა თქმით, ისინი მზარდი ინფლაციის, მაღალ ემპლონებში გამეფებული კორუფციისა და კრიმინოგენული სიტუაციის დამტკიცის გამო შეიკრიბნენ. ათასობით ადამიანმა მოაწყო მსვლელობა დედაქალაქის მთავარ ობელისკამდე, რის გამოც, ოთხი საათის განმავლობაში, ბუენოს აირესის ცენტრალური ქუჩები პარალებებული იყო.

პრეზიდენტი ფერნანდესი მეორე ვადით 2011 წელს აირჩიეს, რის შემდეგაც მისი რეიტინგი საგრძნობლად დაეცა.

ოფიციალური ინფორმაციით, ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებლი 12%-ს აღწევს, თუმცა ოპოზიციური ძალების წარმომადგენლების თქმით, ეს



რიცხვი გაცილებით უფრო მაღალია. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, სექტემბერში, არგენტინა გააფრთხილა, რომ ინფლაციის მაჩვენებლის დარეგულირებას თუ ვერ მოახერხებს, შესაძლოა, სანქციები დაეკისროს.

ჩინეთი ახალი პოლიტიკური მათავრობის მოცველეები

ჩინეთში კომუნისტური პარტიის მე-18 ეროვნული ყრილობა გაიხსნა. მე-18 ეროვნული ყრილობა კომუნისტური ქვეყნის უმთავრესი პოლიტიკური მოვლენაა ბოლო ათი წლის განმავლობაში. ჩინეთში ელოდებიან, რომ ქვეყნის ლიდერი ჰუ ძანგტო



მმართველ თანამდებობებს დატოვებს. ასევე ელოდებიან პრემიერ-მინისტრი ვენ ძიაბაოს გადადგომასაც. როგორც ვარაუდობენ, მათ პოსტებს, შესაბამისად, ამჟამინდელი ვიცე-პრეზიდენტი სი ძინბინი და პირველი ვიცე-პრემიერი ლი კეციანი დაიკავებენ. სი ძინბინი ჯერ კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი გახდება, მომავალ წელს კი მას მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი ქვეყნის პრეზიდენტად აირჩევენ.

კომუნისტური პარტიის ყრილობაზე, რომელიც ხუთ წელიწადში ერთხელ იმართება და რომელსაც პარტიის ათასობით დელეგატი ესწრება, მუდმივმოქმედი პოლიტბიუროს ცხრა წევრიდან შვიდი, ასაკობრივი ცენზის გამო, სავარაუდოდ შეიცვლება.

ყრილობაზე უკვე გამოვიდა სიტყვით ქვეყნის პრეზიდენტი ჰუ ძინტაო, რომელმაც ქვეყნის ეფექტური მართვისა და კორუუციისათვის ბრძოლის გამოცხადების აუცილებლობაზე ისაუბრა. მოწვეულ 2 200 დელეგატი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორასზე მეტ წევრსაც აირჩევს, რომლებიც მონაცელებით, მუდმივმოქმედ პოლიტბიუროსთან ერთად ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მიიღებენ.

საფრანგეთი ერთსასიანთა პრინციპის განაცვებას ციტის

მემარჯვენე პარტიებისა და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგობის მიუხედავად, ფრანსუა ოლანდის სოციალისტური პარტია აპირებს, რომ ერთსესიანთა ქორწინების დაკანონების შესახებ საკანონმდებლო ცვლილება განიხილოს. რამდენიმედღიანი საპროტესტო აქციების მიუხედავად, საფრანგეთის სამთავრობო კაბინეტმა მაინც დაამტკიცა კანონის სამუშაო ვერსია.

ერთსესიანთა ქორწინების დაკანონება ფრანსუა ოლანდის წარმატებული საპრეზიდენტო კამპანიის ერთ-ერთი დაპირებაც იყო. კანონის სამუშაო ვარიანტი ქორწინებას სხვადასხვა ან ერთი სქესის ორ პარტნიორს შორის კავშირად განიხილავს, ხოლო კანონის მიღების შემთხვევაში იფიციალურ დოკუმენტებში სიტყვები „დედა“ და „მამა“ შეიცვლება სიტყვა „მშობლით.“ ვინაიდან ოლანდის პარტია პარლამენტის ორივე პალატაში უმრავლესობითაა წარმოდგენილი, სავარაუდოა, რომ კანონპროექტის განხილვა ორივეგან წინააღმდეგობის გარეშე მოხდება. გამოკითხვები აჩვენებს, რომ ერთსესიანთა ქორწინებას მოსახლეო-

ბის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს, თუმცა ასეთი ერთსულოვნება არაა გეო წყვილების მიერ შვილის აყვანასთან დაკავშირებით და მას მხოლოდ გამოკითხულთა ნახევრი უჭერს მხარს. ნიკოლას სარკოზის პარტიის წევრმა, გავლენიანმა სენატორმა სერჟ დესომ კანონპროექტს უკვე უწოდა „ოჯახის, ბავშვების განვითარებისა და განათლების დასასრული“. თუმცა საფრანგეთის იუსტიციის მინისტრმა კრისტიან ტობილმა გაზეთ *La Croix*-თან საუბარში აღნიშნა, რომ „ქორწინება ყველასათვის“ არის პასუხი საყველთაო თანასწორობის მოთხოვნაზე. პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის თქმით კი, ერთსესიანთა ქორწინება „იქნება პროგრესს არა მხოლოდ ინდივიდუებისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის“. □



ციტატები



„კალანდაძემ მოახერხა საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფი ქართველი ჯარისკაცების შეურაცხყოფა, მან ცემა ისინი და ჩამოახია სამხრეები, რითაც შეურაცხყო ჯარისკაცების ღირსება, ჩვენ კალანდაძის მსგავსი ადამიანების სამინისტროში საქმიანობით მივდივართ უფსკრულში, ეს ადამიანი ჩამოსაშორებელი იყო სამხედრო საქმეს, სამწუხაროა, რომ ის 15 წლის ასაკიდან იყო სამხედრო მოსამსახურე, მაგრამ, როგორც ჩანს, გენერლის ჩინის პირობებში დაავიწყდა რას ნიშნავს ჯარისკაცის ღირსება“, –

თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი



„თუ ბაჩო ახალაია დამნაშავეა, მაშინ მეც დამნაშავე ვარ და კიდევ ბევრი ჩემი თანაგუნდელი“, –

აკაკი მინაშვილი, საპარლამენტო უმცირესობის წევრი



„მსგავსი დამოკიდებულება შევარდნაძის დროინდელ მთავრობის სხდომებზეც არ ყოფილა. მთავრობის კანცელარია ნელ-ნელა ემსგავსება ქაჯეთის ციხეს, რომელიც ჩაკეტილი იქნება ყველასთვის, ვისაც განსხვავებული აზრი გააჩნია. მთავრობის ეს დამოკიდებულება არის ცინიზმის მწვერვალი, ჩვენ ნელ-ნელა მივიღებთ კარჩაკეტილ მთავრობას, რომელსაც ხალხის ბედი არ ანალვლებს და ეს არჩევნებიდან ორი კვირის თავზე ხდება“, –

გიგი უგულავა, თბილისის მერი



„ირაკლი ალასანია (და მთელი ხელისუფლება) სწორედ იმ „კაგებეს“ მეთოდებით მოქმედებს, რომელიც ალბათ, მან იგორ გიორგაძისგან შეისწავლა“, –

ჩიორა თაქთაქიშვილი, საპარლამენტო უმცირესობის წევრი



„ბოლო პერიოდში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა განსაკუთრებით გაააქტიურეს ბინძური, ცილისმწამებლური კამპანია, თითქოს მე ვარ დამნაშავე ადამიანების წამებასა და კორუფციაში და ამის გამო დავტოვე ქვეყანა და გავექეცი მართლმსაჯულებას“, –

ბაჩო ახალაია, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი

გახსენით ანაბარი მოიგოთ

10.000

15.000

20.000

საუკათასო ადგილი თქვენი დანაზოგისთვის



თიბისი ბანკი
T B C B A N K

227 27 27 | * 27 27
www.tbcbank.ge

დიახ

ლევან ბერძენიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობის
წარმომადგენელი

არის ისეთი საქმეები, რომელთა გამოძიებაც მხოლოდ საპარლამენტო კომისიას შეუძლია. როცა საქმე ეხება ძალიან მაღალი თანამდებობის პირების ჩადენილ დანაშაულს, როცა მათ იცავს იმუნიტეტი.

წინა ხელისუფლებამ ბოლო თოხოდებულში არაფრით არ შექმნა საგამოძიებო კომისია პარლამენტში. მოსახლეობას შეიძლება უკვე დაავინყდა კიდეც ამის არსებობის შესახებ.

ამჟამად ძალიან ბევრი საქმეა, რომელიც მოითხოვს ამ ტიპის გამოძიებას. პარლამენტი სწორედ ახლა ერკვევა, რა ტიპის საქმეები შეიძლება იყოს გამოძიებული და სულ მაღლ შეიქმნება საგამოძიებო კომისია. პირველ ასეთ კომისიებს უხელმძღვანელებენ დღევანდელი უმრავლესობის წარმომადგენლები.

უმცირესობას აქვს პრეტენზია ხელმძღვანელობაზე, თუ-მცა, სწორედ მათი გუნდის დანაშაულებებია შესასწავლი და ეს სახუმარო საქმე არ არის. როგორც წესი, ასეთ კომისიებს ხელმძღვანელობენ ხოლმე უმცირესობის წარმომადგენლები და აღმასა დადგება დრო, როდესაც ასეც იქნება, როცა ახალი ხელისუფლების დანაშაულის გამოძიება იქნება საჭირო. ჯერჯერობით გამოსაძიებელი ახალი ხელისუფლებისა არაფრია.

ამ კომისიის შექმნის აუცილებლობა უკანასკნელი 9 წელია არსებობს და იარსებებს, სანამ იქნება ერთი გამოუძიებელი საქმეც კი. მაგალითად, 7 ნოემბრის საქმე, 26 მაისის ამბავი, 2008 წლის ომი და უამრავი ისეთი რამ, რისი გამოძიებაც კომისიის გარეშე ძალიან გაჭირდება. ცხადია, ზოგიერთ რამეს საქართველოს პროექტურა გამოძიებს. ამასთან, კომისიაც გადასცემს მას ფაქტებს, რომლებ-საც მოიპოვებს. უცნაურია, რომ პარლამენტი ამ საშუალებით წლობით არ სარგებლობდა.

შევარდნაძის დროინდელი საქმეებიც კი გამოსაძიებელია. დაუშვებელია, რომ დანაშაული იყოს ჩადენილი და მხოლოდ ის ადამიანები ისჯებოდნენ, რომელთაც იმუნიტეტი არ იცავთ. ყველა პარლამენტარი თუ ყოფილი მინისტრი დაუშველი დარჩა, ეს ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ დემოკრატიის ნატამალიც არაა ქვეყანაში. მისი არშექმნა პირდაპირი ნიშანია იმისა, როგორი ხელისუფლებაა მოსული.

ჩვენს პროგრამაში მართლა წერია, რომ საგამოძიებო კომისიები შეიძლება პერიოდულად მოხდეს მოსახლეობისასაც, მაგრამ იმ ვითარებაში, როცა მოსახლი ხელისუფლება ჯერ იმდენად არ შესულა ძალაში, რომ თავისი დანაშაულების გამოძიება დაინყოს. არაა არც გონივრული, არც ლოგიკური და პოლიტიკურად წარმოუდგენლია, რომ თავისი საქმეები თვითონ გამოძიებონ ან არ გამოიძიონ. უმრავლესობა არც ჩვენ გვეყოლება, არც უმცირესობას. ერთი წევრი იქნება კიდევ იმ ფრაქციიდან, რომელიც არცერთს არ ეკუთვნის. **■**



კელა შეიძლნას თას საბამოძიებელი

■ ამ კომისიის შექმნის აუცილებლობა უკანასკნელი 9 წელია არსებობს და იარსებებს, სანამ იქნება ერთი გამოუძიებელი საქმეც კი. მაგალითად, 7 ნოემბრის საქმე, 26 მაისის ამბავი, 2008 წლის ომი და უამრავი ისეთი რამ, რისი გამოძიებაც კომისიის გარეშე ძალიან გაჭირდება. ცხადია, ზოგიერთ რამეს საქართველოს პროექტურა გამოძიებს. ამასთან, კომისიაც გადასცემს მას ფაქტებს, რომლებ-საც მოიპოვებს. უცნაურია, რომ პარლამენტი ამ საშუალებით წლობით არ სარგებლობდა.

შევარდნაძის დროინდელი საქმეებიც კი გამოსაძიებელია. დაუშვებელია, რომ დანაშაული იყოს ჩადენილი და მხოლოდ ის ადამიანები ისჯებოდნენ, რომელთაც იმუნიტეტი არ იცავთ. ყველა პარლამენტარი თუ ყოფილი მინისტრი დაუშველი დარჩა, ეს ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ დემოკრატიის ნატამალიც არაა ქვეყანაში. მისი არშექმნა პირდაპირი ნიშანია იმისა, როგორი ხელისუფლებაა მოსული.

ჩვენს პროგრამაში მართლა წერია, რომ საგამოძიებო კომისიები შეიძლება პერიოდულად მოხდეს მოსახლეობისასაც, მაგრამ იმ ვითარებაში, როცა მოსახლი ხელისუფლება ჯერ იმდენად არ შესულა ძალაში, რომ თავისი დანაშაულების გამოძიება დაინყოს. არაა არც გონივრული, არც ლოგიკური და პოლიტიკურად წარმოუდგენლია, რომ თავისი საქმეები თვითონ გამოძიებონ ან არ გამოიძიონ. უმრავლესობა არც ჩვენ გვეყოლება, არც უმცირესობას. ერთი წევრი იქნება კიდევ იმ ფრაქციიდან, რომელიც არცერთს არ ეკუთვნის. **■**



თუ ას პარლამენტის მომისახური?

ჩვენ უკვე შეტანილი გვაქვს

კანონპროექტი, რომ ჩვენი

ნარმომადგენელი იყოს ხელმძღვანელი.

თუ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, დავაყენებთ საკითხს, რომ არ მივიღებთ მონაწილეობას პოლიტიკურ დევნაში.

არა

სერგო რაჭიანი

**საპარლამენტო უმცირესობის
ნარმომადგენელი**

საგამოძიებო კომისიებს უმცირესობის ნარმომადგენელი უნდა ხელმძღვანელობდეს. თუ ეს ასე არ მოხდება, მაშინ ის პოლიტიკური დევნის იარაღი გახდება. ნებისმიერი ამ ტიპის კომისიას უმცირესობის წევრები ხელმძღვანელობენ ხოლმე, იმისთვის, რომ უმრავლესობამ ეს პოლიტიკურ სამუალებად არ გამოიყენოს, მით უმეტეს, იმ ფონზე, რაც დღეს ხდება. კომისიის შექმნაც იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ესა თუ ის საკითხი.

უმრავლესობის ხელშია პროკურატურა და სხვა საგამოძიებო სტრუქტურებიც. მათ ისედაც შეუძლიათ ნებისმიერი გამოიძიება ანარმონო, მაშინ საგამოძიებო კომისია მეორე პროკურორია თუ რა არის? თუ უმცირესობის ნარმომადგენელი იქნება ხელმძღვანელი, მაშინ კომისია თავის ფუნქციას შეასრულებს, ფაქტობრივად, ეს იქნება კონტროლი ხელისუფლებაზე, მაგრამ როცა უმრავლესობიდან იქნება ხელმძღვანელი, კომისია შეიძლება პოლიტიკური დევნის იარაღი გახდეს.

მიმდინარე საკითხებს თუ განიხილავს კომისია, მაშინ ინტერესთა კონფლიქტი იქნება, ნარსულ საკითხებზე თუ იმუშავებს, პოლიტიკური დევნის ინსტრუმენტად იქცევა. ნებისმიერი საკითხი შეუძლიათ გამოიძიონ, მათ ხელშია პროკურატურა. რა საჭიროა მათი მხრიდან კიდევ დამატებითი საპარლამენტო კომისიის შექმნა? ფაქტობრივად, გამოძიებას თან დაერთვება პოლიტიკური მოტივაცია, ამით მხარს გაუმარგრებს პარლამენტი, ისევე, როგორც პირველ არხზე ფინანსური პოლიციის შესვლა პოლიტიკური განცხადებების ფონზე ხდებოდა. ეს ყველაფერი კი სერიოზულ ეჭვებს ბადებს და მიუღებულია.

ჩვენ უკვე შეტანილი გვაქვს კანონპროექტი, რომ ჩვენი ნარმომადგენელი იყოს ხელმძღვანელი. თუ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, დავაყენებთ საკითხს, რომ არ მივიღებთ მონაწილეობას პოლიტიკურ დევნაში. იმ ფონზე, როგორცაა ეს ხალხი მოსული ხელისუფლებაში და იმ ფონზე, რაც ორი კვირის განმავლობაში ხდება, რბილად რომ ვთქვათ, ეს გამოცხადებული რეპრესიების ქრონიკა. მათ დააკავეს გენერალური შტაბის უფროსი და ბრალდება იმდენად სუსტი და უსუსური იყო, რომ გაათავისუფლეს. შესაბამისად, ეს იყო პოლიტიკურად მოტივირებული ამბავი. ფაქტიც არსებობს, რატომ იყო ეს ასე. ფაქტობრივად, ჩაიშალა ნატოს დელეგაციის ვიზიტი თბილისში. საზოგადოებრივ მაუწყებელში ფინანსური პოლიციის შესვლა, დაპატიმრებები ხელისშემლია ნატოსთან ინტეგრაციაშიც. ☐

hTbMh ნაჩიმახთა ომბადი

ნინია კაკაბაძე



ნინო ლომიჯარია



„ქართულმა ოცნებამ“ საწყისშივე განაცხადა, რომ ომბადმსენის თანამდებობაზე გაითვალისწინებს არასამთავრობო სექტორის რეკომენდაციებს და მათი ჩართულობის შედეგად შეარჩევს კანდიდატს. ამიტომაც, სამოქალაქო საზოგადოებას მიეცა იმედი, რომ მათ აზრს გაითვალისწინებენ.

სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფმა წარმოადგინა მათი რჩეული კანდიდატები. ეს ადამიანები უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში პასუხობდნენ კრიტიკულ კითხვებს და იბრძოდნენ თანასწორუფლებიან რეჟიმში. ამის შემდეგ, საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებს, რომ ისინი უკვე შეჯერდნენ და ასახელებენ საკუთარ კანდიდატს. ეს კანდიდატი არ წარუდგენია სამოქალაქო სექტორს, ნინა ხატისკაცი „ქართული ოცნების“ რჩეულია.

ბუნებრივია, შესაძლებელია ახლა გამოჩენენ მისი მხარდამჭერები, მაგრამ ის დაასახელა პარტიამ და არა სამოქალაქო სექტორმა. მაშინ, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ გადმოგვიგდო საკერძო, თითქოს თავშესაქცევი გაგიჩინა, დაგვასაქმა, გადაწყვეტილება კი მიკერძოებულად, დამოუკიდებლად და საზოგადოების აზრის გაუთვალისწინებლად მიიღო. ასე რომ, ეს უკვე პირველი, ძალიან ნათელი გზავნილია, როგორც დემოკრატიული პროცესის ფარსი, ცუდად შესრულებული სპექტაკლი. ივიშვიშეთ, გაერთეთ, იკამათეთ, დაუპირისპირდით ერთმანეთს, წარმოიდგინეთ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრობთ – ჩვენ კი ჩვენს ფავორიტს დავასახელებთ, კენჭს ვუყრით და ავირჩევთ.

ეს არის პირველი და უმნიშვნელოვანესი ტესტი, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ ვერ ჩააბარა, ვერ გაიარა. შესაძლებელია ამის სურვილი ჰქონდა, მაგრამ ვერ შეძლო. ახალმა ხელისუფლებამ ისიც კი ვერ შეძლო, რომ კენჭისყრაზე დაეყენებინა რამდენიმე კანდიდატი. ვიცით, ესეც ფარსი იქნებოდა და მათ რჩეულს დაუქერდნენ ერთხმად მხარს, როგორც წაციონალურ მოძრაობას გაჰქონდა სრული ერთსულოვნებით ნებისმიერი საკითხი.

ახალ ხელისუფლებას კი კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ამ შესანიშნავი თეატრალური წარმოდგენისთვის – სახელწოდებით „დემოკრატია“. **¶**

სტატია დაინერა ტელეკომპანია „მაქსტროს“ გადაცემა „კვირის აზრებისათვის“

თავდაპირველი განცხადებით, საპარლამენტო უმრავლესობა გაითვალისწინებდა სამოქალაქო სექტორიდან დასახელებულ კანდიდატებს. სამოქალაქო სექტორი ძალიან მრავალფეროვანია და სხვადასხვა გაერთიანებამ თუ ჯგუფმა დაასახელა მისთვის სასურველი კანდიდატი. ჩვენ ძალიან დადებითად ვაფასებდით იმ პროცესს, რომ საქართველოს ისტორიაში სახალხო დამცველობის კანდიდატებს შორის პირველად წარიმართა ძალიან სერიოზული დებატები. დებატები თითქმის ყოველდღიურად, მთელი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ეს იყო სხვადასხვა იდეისა და შეხედულების ჭიდოლი, რადგან სხვადასხვა ჯგუფს სხვადასხვა პრიორიტეტი ჰქონდა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. ეს ძალიან საინტერესო პროცესი იყო და საზოგადოებაც აქტიურად იყო. თუმცა ძალიან სამწერაო მოულოდნელი პრეცედენტით დასრულდა, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობამ იგნორირება მოახდინა სამოქალაქო სექტორიდან დასახელებული ყველა კანდიდატის და განაცხადა, რომ მისთვის მისაღებია მხოლოდ მისივე დასახელებული კანდიდატი. მათ ფაქტობრივად, განაცხადეს, რომ არ აინტერესებთ სამოქალაქო საზოგადოების აზრი. შემიძლია ვთქვა, რომ პირველი ტესტი, რომელიც ამ პროცესში უმრავლესობას უნდა ჩაებარებინა, მათ ვერ ჩააბარეს.

კანდიდატები, რომელებიც სამოქალაქო სექტორიდან დასახელდებოდნენ, შესაძლოა სრულიადაც არ ყოფილიყო მისაღები მმართველი გუნდისთვის და ეს ბუნებრივია. სახალხო დამცველის კანდიდატურა სწორედაც რომ, არ უნდა იყოს ძალიან მისაღები სახელისუფლებო გუნდისთვის, რადგან მას მოუნევს მომავალში ამ გუნდის კრიტიკა. თუმცა, აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მათ არ მოუსმინეს არცერთ კანდიდატს და ისე მიიღეს გადაწყვეტილება. არ ყოფილა არც საჯარო მოსმენები და არც არაოფიციალური შესვედრები.

ამ ყველაზრის შემდეგ ჩვენ, არასამთავრობოები ვიქენებით უფრო ფრთხილად. იმის უპირობოდ ნდობა, რომ სამოქალაქო საზოგადოების აზრს გაითვალისწინებენ, შეიძლება არ გამართლდეს. ჩვენ გვექნება განცდა, რომ დაპირება არასამარისი საბუთია და სანამ არ დავინახავთ შედეგს, ხელისუფლების მიერ მოცემული დაპირება შესაძლოა ნებისმიერ დროს შეიცვალოს. **¶**

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ ՅԱՄԱԿԱՆԱԿԱՐԱՎՈՐ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ვასილ მალლაფერიძე



თათა ცოფურაშვილი



სახალონ დამცველობის კანდიდატების შერჩევისას მიმდინარე პროცესს თვალს „ფეისბუქით“ ვადევნებდი და ძალაან მომზონდა. გარკვეული კანდიდატების მიმართ მე მაქს სიმპათიები და კანდიდატებისადმი საკუთარ დამოკიდებულებებსაც სოციალური ქსელების მეშვეობით გამოვხატავდი. კარგია, რომ ბევრი კანდიდატი იყო და ვვარაუდობდი რომ ამ ბევრი კანდიდატიდან ერთ-ერთს შეარჩევდა პარლამენტი. პარლამენტის გადაწყვეტილების გამო პირადად მე, როგორც საზოგადოების წევრს, რაიმე დისკონფორმი არ მქონია. მეს-მის, რომ ზოგიერთი არასამთავრობო გარკვეულწილად უკ-მაყოფილოა, რომ მათი აზრი არ გაითვალისწინეს.

მე ამის გაგება ძალიან კარგად შემიძლია, მაგრამ საზოგადოებრივი მარტო არასამთავრობოებისგან ხომ არ შედგება. ვფიქრობ, თუ ეს საკითხი მთელი საზოგადოების მონაწილეობით უნდა გადაწყვდეს, მაშინ ეს წრე უფრო ფართო უნდა იყოს, ვიდრე არასამთავრობოებია. არასამთავრობოები შედარებით ვიწრო ჯგუფია. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ საზოგადოება უფრო იცავს საკუთარ თავს, ვიდრე ამას რომელიმე ვიწრო ჯგუფები ახერხებენ. საზოგადოების დაცვა რეალურად მაშინ მოხდა, როცა მთელი საზოგადოება თვითონ დადგა ფეხზე. მანამდე კი ეს არასამთავრობოებმა სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოხერხეს. თუმცა, ცხადია, ამაში მე არასამთავრობოებს არ ვამტყუნიბ.

ასე რომ, უქმაყოფილების საფუძველი არა მაქვს. ბევრი კანდიდატი იყო და პარლამენტმა ერთ-ერთი აარჩია. სხვა-გვარად როგორ უნდა მომხდარიყო, არ ვიცი. სამოქალაქო სექტორი ჩემთვის არ ნიშნავს ცალკეული არასამთავრობო-ების კავშირს. ქუჩაში მოსიარულებიც და „ფეისბუქით“ მო-სარგებლებიც ხომ სამოქალაქო სექტორია? ხალხმა ყველა კანდიდატურა წამოაყენა, ნინა ხატისკაცის კანდიდატურაც ხომ ხალხმა წამოაყენა... მე თვითონ მივეცი ფეისბუქ-გა-მოკითხვით ხმა მის კანდიდატურას. თუ ჩვენ სახალხო და-მცველის არჩევის წესი არ მოგვწონს, მაშინ წესის შეცვლაზე უნდა ვისაუბროთ და სხვა მექანიზმია მოსაქმნი. მაგრამ თუ უმრავლესობამ უნდა აირჩიოს სახალხო დამცველი, მა-შინ გასაპროტეგილებილი არავირია. **[**

მე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი არ ვარ
და რომელიმე კანდიდატი პერსონალურად არ წარმიდგენია,
მაგრამ როგორც მოქალაქეს, გარკვეული სიძპათიები მქონდა
იმის მიხედვით, როგორ წარმოაჩენდნენ კანდიდატები თავიანთ
პოზიციას დეპატებისას, რა ღირებულებებს იცავდნენ და ა.შ.
რამდენადაც ვიცი, არასამთავრობოების განწყობები, რომლებ-
ბმაც კანდიდატები დაასახელეს და შესაბამისად, მოლოდინი
ჰქონდათ, რომ განხილვა ამ კანდიდატებს შორის მოხდებოდა,
ისინი საკმაოდ იმედგაცრუებულები არიან. ფაქტია, რომ საზო-
გადოების მოლოდინი არ გამართლდა, რადგან ნინა ხატისკაცი
არ დაუსახელებიათ სამოქალაქო სექტორიდან და დასახელე-
ბული იქნა როგორც უმრავლესობისთვის მისაღები კანდიდა-
ტი. ამას გარდა, რაკი მან გამოტოვა ერთოთვანი დეპატების
პროცესი და მონაწილეობა არ მიუღია იმ მწვავე საკითხების
განხილვაში, რაშიც დამცველობის სხვა კანდიდატები მონაწი-
ლეობდნენ, ჩემთვის, როგორც მოქალაქეებისთვის უცნობია მისი
დამოკიდებულება მთელი რიგი საკითხებისადმი უმცირესობე-
ბის უფლებების დაცვასთან დაევალირებით, იქნება ეს რელი-
გიური, ეთნიკური თუ სექსუალური ნიშნით უმცირესობები. ეს
საკითხები არაპოსულარულია ქართულ მეინსტრომში და ჩვენ
რეალობაში სახალხო დამცველის ამოცანაა რომ ამ უმცირე-
სობების უფლებების სადარაჯოზე იდგეს იმ პრიბლებების
გარდა, რომელიც სახალხო დამცველის პრეროგატივაში შედის.
გთქვათ, პატიმრების უფლებები და ა.შ.

თუ ეკა ამ გამოცდილებას ახლად არჩეული ხელისუფლებისა და საზოგადოების კომიტინგიაციის ჭრილში შეეხედავთ, ეს მთლად კარგი დასაწყისი არ არის. არასამთავრობოებიც და საზოგადოებაც, რომელიც ამ პროცესს აკვირდებოდა, თავს იმედ-გაცრუებულად და პროცესს მიღმა დარჩენილად გრძნობს. თუ მცა, რაკი სახალხო დამცველის კანდიდატურა ჯერ ისევ განხილვის პროცესშია შესაძლებელია კიდევ არსებობდეს სიტუაციის შემობრუნების რესურსი საზოგადოების დაკვეთის გათვალისწინებით. თავად ნინა ხატისკაცის კომპეტენტურობას მე არანაირად არ ვაყენებ ეჭვექეშ, მაგრამ ვიცი, რომ უფლებადაცვით სუვერინი მას ნაკლები გამოცდილება აქვს და უფრო საარჩევნო უფლებების კუთხით მუშაობდა ვიდრე ვთქვათ, უმცირესობების საკათხებზე, რაც დღეს საქართველოში არის ერთ-ერთი პირველი სუვერინ, რომელსაც სახალხო დამცველმა უნდა მიხედოს და რომელიც ყურადღებას საჭიროებს. ❷



ფოტო ლევან გერებელი

"ნაბიჯ-ნაბიჯ ჩოვანის ისტორია"

ინტერვიუ ქალაქდამგეგმარებელთან
ზურაბ ბაქრაძესთან

რიყეზე თითქმის დასრულებულია იტალიელი არქიტექტორის, მასიმილიანო ფუქსასის დაპროექტებული თეატრის მშენებლობა, თუმცა ამ შენობებით საზოგადოების ნაწილი აღმფოთებულია კონსტრუქციების დაშლის მოთხოვნით საპროტესტო აქციაც გაიმართა.

როგორ შეაფასებდით ქალაქის ცენტრალურ უბანში ფუქსასის კონსტრუქციის გამოწენას?

ეს შენობები გარემოს არ შეესაბამება. არქიტექტურული თვალსაზრი-სით კონტექსტიდან ამოვარდნილია. ეს უკვე საემარისი არ გუმენტია, რომ ასეთი შენობა არ აშენებულიყო. მაგრამ არქიტექტურულ მხარეზე მნიშვნელოვანი ის ფაქტორია, რომ მსგავსი შენობების აგება საზოგადოების ზურგს უკან წყდება. მოქალაქეებს, ვისთვისაც ეს ქალაქი და უპანი სამშობლოა, მათი საცხოვრებელი გარემოს გარდაქმნისას არავითარ ანგარიშს არ უწევენ. მათ ქედმაღლურად ეპყრობიან. ეს არის ტოტალიტარიზმის, ძველი აზროვნების გამოხატულება. შეიძლება ითქვას, ფეოდალური აზროვნებისაც კი. ფეოდალი თავის თავზე იღებდა თავის ქვეშვრდომებზე ზრუნვის პასუხისმგებლობას. მაგრამ ასეთი მიმართებების დრო დიდი ხანია გავიდა.

საქართველოში ბოლო წლებში მასობრივად აშენდა პოლიციის გამჭვირვალე შენობები, ასეთივე შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა. რა ფენომენია გამჭვირვალობისკენ სწრაფვა არქიტექტურში?

ცოტა უხერხეული და გულებრყვილო ახსნაა, რომ გამჭვირვალე შენობების მიზანი სტრუქტურების მუშაობის გამჭვირვალობაა. ეს დილეტანტური ტყუილია. საერთოდ, ის მიდგომა ხელოვნებასა და არქიტექტურაში, რომ ხელოვნების რომელიმე ნაწარმოები რაიმეს გამოხატავს და ლიტერატურული შინაარსი აქვს, ანტიხელოვნებაა. მინის და ლითონის ინტენსიური გამოყენება 60-იან წლებში დაიწყო, მაგრამ ამას მხოლოდ გამომსახულობითი დატვირთვა აქვს. ამ მასალის გამოყენებით მიიღვევა კონსტრუქციის სიმსუბუქე აღქმის თვალსაზრისით. ეს მხოლოდ ხელოვნების სფეროა და ახსნა პოლიციის მუშაობის გამჭვირვალობის არგუმენტით, სასაცილოა.

ზოგადად, ეს პოლიციის შენობები უცხო სხეულებია ქალაქის ქსოვილ-

ში. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნოთაბუკაში ქუჩაზე აშენებული შენობა – ეს არის ძალიან კარგი გამოხატულება, თუ როგორ ანგრევენ ქალაქის სივრცულ ქსოვილს.

ქალაქს თავისი სივრცული სტრუქტურა აქვს, რომელიც ძირითადი ქუჩებით, მოედნებითა და შიდაზოებითაა აგებული. ადგილის ასეთი მოტივოლებით და იქ მსგავსი შენობის ჩადგმით ანგრევენ ქალაქის სივრცულ სტრუქტურას და ამდენად, ქალაქს ხასიათს, ქალაქურ სახეს უკარგავენ.

როგორია ქალაქური ხასიათი?

ქალაქი არის თემი, სოციუმი, რომელმაც ერთად ცხოვრება გადაწყვიტა. ის საკუთარი სოციალური სხეულის გარშემო იქმნის სამოსს თავისი შენობებით, გზებით, პარკებით... მატერიალური ქალაქი არის ქალაქის სოციალური სხეულის სამოსი, იქ მცხოვრები თემის გამოვლინება.

ამ თემის ცხოვრების ხასიათი შეიძლება იყოს ქალაქური ან არა-ქალაქური, სოფლური. მით უფრო ქალაქურია ცხოვრება, რაც უფრო მეტადაა პოლარიზებული კერძო და საზოგადოებრივი სივრცე თემში. მაგალითად, ქუჩა არის გამოხატული როგორც საზოგადოებრივი დანიშნულებებისა და ფუნქციების სივრცე. მისი საპირისპირო კი არის კერძო მიწის ნაკვეთი, ან სახლის შიდა სივრცე, სადაც ადამიანი ისე ცხოვრობს, როგორც მისი პირადი საჭიროებები მოითხოვს. სხვადასხვა ოჯახისთვის საერთო შიდა ეზოები, შეიძლება ნახევრადსაზოგადოებრივ სივრცედ ჩაითვალოს.

ქალაქურ სტრუქტურას ქმნის კერძო, ნახევრადსაზოგადოებრივი და საზოგადოებრივი სივრცები, რომლებიც გარკვეული სისტემით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. სწორედ ამ ქალაქური სტრუქტურის დანგრევაზე ვსაუბრობ პოლიციის შენობების შემთხვევაში.

როგორ უნდა დაბალანსდეს საზოგადოებრივი და კერძო, კომერციული

სივრცეების განაწილება ქალაქში, რა პრიციპები არსებობს ქალაქდაგეგმარებში?

თითოეული გადაწყვეტილება კონკრეტული სივრცული და სოციალური სიტუაციის შესაბამისად უნდა იყოს მიღებული. ერთადერთი, რაც ზოგადად შეიძლება ითქვას და რაც ყველა სიტუაციას შეესაბამება, ისაა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის აზრი უნდა გაითვალისწინონ და ამ საკითხზე ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად იმუშაონ.

კომერციული დანიშნულების ობიექტები, ზოგადად, საზოგადოებრივ სივრცეს ამდიდრებს. ეს იქნება სავაჭრო, კულტურული თუ სოციალური დაწესებულებები. ეს ყველაფერი სოციალური გარემოს კომპონენტებია და საზოგადოებრივ სივრცეში უნდა იყოს განთავსებული. უბრალოდ, საკითხავია, რომელი დაწესებულება რა ადგილას უნდა იყოს განთავსებული. სწორედ ამიტომ არსებობს ქალაქებებისა, რომელმაც უნდა განსაზღვებული საკითხია სამოსი, იქ მცხოვრები თემის გამოვლინება.

არქიტექტურული საკითხი არ შემოფარგლება მხოლოდ შენობის მასალით, პროპორციებით ან ფერით, არამედ მისი ამოცანაა გარემოსთან ურთიერთობაც. უამისოდ არქიტექტურა წარმოუდგენელია.

ინარჩუნებს ამ ტენდენციას არქიტექტურა დღეისთვის?

ნაგებობები, რომელიც ბოლო დროს გავრცელდა, პოსტმოდერნის ეპოქის პირველებია. არსებობს ასეთი შენობების კარგი და ცუდი მაგალითები, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში ცუდი მაგალითები გვაქვს, რამდენადაც ბოლო 20 წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოში ავადმყოფურმა სოციალურმა პროცესებმა იმდლავრა. ვგულისმობ ცალმხრივ, მსხვილ კაპიტალზე ორიენტირებულ გლობალიზაციას. ამ პირობებში ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს, შეიძლება ითქვას, კასტას,

საშუალება მიეცა იბატონის ადამიანების დიდ რაოდენობაზე სარგებლის მიღების მოტივით. გლობალიზაციამ ამ ადამიანებს შესაძლებლობა შეუქმნა მონახონ უფრო იაფი საწარმოო არეალები და იაფად დამზადებული პროდუქცია გაყიდონ იქ, სადაც ის ყველაზე ძვირია. საქმიანობის ერთა-დერთი კრიტერიუმი ანგარებაა, რაც ეკონომიკის იდეალს პრინციპულად ეწინააღმდეგება. ეკონომიკის იდეალი არის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და არა ხილაცების გამდიდრება. თუმცა, ეს ხდება ბოლო 20 წლის განმავლობაში და ეს პროცესი აისახა არქიტექტურაშიც. ძირითადად ეს ვარსკვლავად აღიარებული არქიტექტორების შემოქმედებაში გამოიხატა. მათი დამკვეთები არიან ადამიანები, რომლებიც ბატონობისკენ მიისწრაფვიან და დიდი, დომინანტი ტიპის შენობებით ძეგლს იდგამენ. ამის მაგალითია კარიკატურული კუნძულები არაბეთის ზღვაში, სრულაან გაუებარი მაღლივი შენობები ლონდონშიც კი. ეს შენობები, რომლებიც გარემოზე დომინირებს, ფინანსური კაპიტალიზმის ბატონობის ძეგლებია. რამდენადაც ეს ბატონობა ბოლო 20 წლის განმავლობაში გამძაფრდა, არქიტექტურაშიც შესაბამისი სახე მიიღო. ქალაქებების არქიტექტურული უკანა პლანზე გადაინია და წინა პლანი დაიპყრო კერძო კაპიტალის დაკვეთის შემსრულებელმა არქიტექტურულმა საქმიანობამ, რომელიც სოციალურ საზრისს უკვე აღარ ატარებს.

ასე განვითარდა მოვლენები საქართველოშიც და სწორედ ამის გამოხატულებაა რიყეზე აშენებული ფუქსასის პროექტი. ეს ერთადერთი კრიტერიუმით გაკეთებული პროექტია, რომ აგტორმა დიდი ჰონორარი მიიღო და შექმნა ისეთი ესკიზი, რომელიც წარმოაჩენს ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ და არა ეკონომიკურ ძალაუფლებას საქართველოში, წაციონალური მოძრაობის დაუშვებდა.



გმირთა მოედანი, თბილისი

ბოლო წლებში თბილისში ორი შინაარსობრივად მსგავსი მონუმენტი დაიდგა თბილისის ცენტრალურ ადგილებში – ნეინდა გიორგის მონუმენტი თავისუფლების მოედაზე და გმირთა მოედნის მონუმენტი. შეიძლება თუ არა ამ მონუმენტებსა და საბჭოთა სტილის მონუმენტებს შორის პარალელის გავლება?

რა თქმა უნდა. სხვათა შორის, თბილისის არქიტექტურაში გავრცელდა ნეოსტალინური სტილი. ეს ძალიან აშკარად და კარგად გამოხატავს საქართველოში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკურ პროცესებს. ამ მონუმენტებს იდეოლოგიური დატვირთვა აქვს – ცრუპერონიზმის ტირაჟირება. ხელოვნებისთვის ეს თავსმოხვეული დატვირთვა.

სტალინისტური არქიტექტურის მაგალითებით თუნდაც, მელიქიშვილის ქუჩაზე აშენებული, ჭონქაძის და ჩიტაძის კუთხეში აშენებული შენობები, ოქროს ზიზილ-პილებიანი და საათიანი გუმბათი სანაპიროსა და ბარათაშვილის კუთხეში მდგარ შენობაზე.

ეს კარგად გამოხატავს, რომ რეუი-მი, რომელიც აქ იყო, ძალიან დაემგვანა სტალინურს და არქიტექტურაში ამან უცებ პპოვა გამოხატულება.

წმინდა გიორგის ძეგლი არის საზოგადოების იდეოლოგიზაციის იაფვასიანი, შეიძლება ითქვას, კარიკატურული გამოხატულება.

თვითონ სტალინური არქიტექტურის არსი როგორია, როგორ დაემსგავსა მას ბოლო წლებში თბილისის არქიტექტურა?

საბჭოთა კავშირში ხელოვნებისთვის ძალიან პროდუქტიული 20-იანი წლები, რუსული ავანგარდის წარმომშობი ეპოქა, 1930-წელს დასრულდა, როცა კომუნისტებმა საბჭოთა კავშირის დაშლის თავიდან აცილების მიზნით ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ნაცვლად დიქტატურა აირჩიეს.

1930-ში სტალინმა გამოსცა ასეთი დეკრეტი „ხელოვნებაში წარმმართველი ხაზის შესახებ“, რომელიც არქიტექტურასაც ეხებოდა და ადგენდა, რომ უნდა მოხდეს კლასიკური მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისება. სინამდვილეში ეს ნაშნავდა ავანგარდზე უარის თქმას და ძველი საბერძნებისა და რომის, შემდგომში კი ალორძინებისდროინდელი ევროპის გამომხატველობითი ენის პირდაპირ გადმოღებას. ამ გარდატეხის მაგალითია არქიტექტორი შჩუსევი, რომელმაც დაპაროექტა შესანიშნავი შენობა



რიყე, თბილისი

■ ეს შენობები, რომლებიც გარემოზე დომინირებს, ფინანსური კაპიტალიზმის ბატონობის ძეგლებია. რამდენადაც ეს ბატონობა ბოლო 20 წლის განმავლობაში გამძაფრდა, არქიტექტურის შესაბამისი სახე მიიღო.

— ლენინის მავზოლეუმი მოსკოვში, ბათუმის „ინტურისტი“ და იმელის შენობა თბილისში. იმელის შენობა არის დეკორატის შემდგომი პროექტი — კლასიკური არქიტექტურის გამეორება, ვეებერთელა კაპიტელები და ა.შ.

ზუსტად ასეთივე იყო ფაშისტური არქიტექტურა იტალიასა და გერმანიაში. ის არქიტექტურული ნიმუშებიც ძალიან ჰგავს სტალინურს. აქედან ჩანს, რომ მთავარი ფაქტორი ასეთ არქიტექტურაში დიქტატურა და ტოტალიტარიზმია, რომელიც გარემოს შესაბამისად აფორმებს.

თბილისშიც ამას ვწედავთ — თანამედროვე სტალინურ შენობებს, ჩუქურთმის პიპერტორიუმებას, ფსევდოკლასიკის გადმოტანას, სრულიად გარეგნულად, დაბალ პროფესიულ დონეზე. ეს ბევრად ჩამოუვარდება სტალინის დროინდელ შენობებს, რომელებსაც კარგი არქიტექტორები აშენებდნენ და იმ ენაზეც კი ახერხებდნენ პროპორციის შენარჩუნებას.

ზოგადად, როგორი ქალაქი გვაქვს დღეს, რა გავლენა დატოვა მასზე ვარდების რევოლუციის შემდგომა, საბჭოთა თუ საბჭოთამდე პერიოდმა?

თბილისში შუასაუკუნეები ძალიან დიდანს გაგრძელდა, ფაქტობრივად,

რესეთთან შეერთებამდე. რუსეთთან შეერთების შემდეგ კი ისევე, როგორც თავის დროზე ევროპაში, შუასაუკუნეების დარღონდელი ფარგლები ქალაქებმა ნახტომისებურად დატოვეს, გაიზარდნენ და ინდუსტრიალზაციას აუზყვეს ფეხი. ასევე დატოვა ფარგლები თბილისმაც და მოიცავა ერთი მხრივ, გარეთუბანი და მეორე მხრივ — ჩუღურეთი და დიდუბე. ამის შემდეგ თბილისი უკვე თანამედროვე ევროპულ ქალაქებს დაემსგავსა თავისი მმართველობით, სივრცული ფენომენებით, ქუჩებით, კვარტლებით, კვარტალების შიდასივრცეებით და ნახევრადსაზოგადოებრივი სივრცეებით. ძალიან მნიშვნელოვანი თბილისური მოვლენა იყო ამ დროს „პლეხანოვის“, აღმაშენებლის გამზირის ორსავე მხარეს საზოგადოებრივი ბაღების შექმნა. არტოს ბაღი და გორკის პარკი არის ამ ძველი პარკების ნარჩენები.

ეს ევროპული, სოლიდური, ჩვენი რეგიონისთვის საკმაოდ მდიდარი ქალაქი, საბჭოთა ხელისუფლებამ გადაიბარა და თანდათან გაანადგურა. საბჭოთა დროიდან, ყოველ შემთხვევაში, სტალინიზმის დადგომიდან, თბილისში ძალიან ძნელი მოსაგონია სწორი ქალაქმშენებლური ნაბიჯები. ეს

განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის მერე გამძაფრდა. გადამწყვეტი კი იყო ძველი ქალაქის ნგრევა მარჯვენა სანაპიროს ასაშენებლად. ჩვენ ერმაკოვის ფოტოებიდან ვიცით როგორი იყო ნგრევამდე თბილისი — მეტეხის და ვირის ხიდით დაკავშირებული სანაპიროები, მეტეხი და კალა. კალას მხარეს ნაგებობები მტკვარში ჩადიოდნენ — თაღებიანი ქარვასლები პირდაპირ წყალში იდგა. ეს განუმეორებელი ლანდშაფტი ომის შემდეგ ერთი ხელისმონით დაანგრიეს. და ასეთი ნეგატიური ჩარევები დღემდე გრძელდება. საბჭოების და პოტსაბჭოური დროის ისტორია ქალაქის მატერიალური და სოციალური დეფორმირების ისტორიაა. ქალაქში გაჩნდა ეთნიკურად ქართველების დიდი რაოდენობა. ადრე კი ეთნიკური ქართველები უმცირესობა იყო. თბილისი იყო მულტინაციონალური, მულტიკულტურულ ქალაქი. შემდეგ კი უკვე წვრილმანმა ნაციონალიზმაც იჩინა თავი. სამწუხაროდ, თბილისის ისტორია 30-იანი წლებიდან დაწყებული დღემდე, ქალაქის სოციალური და მატერიალური გარემოს ნაბიჯ-ნაბიჯ რღვევის ისტორიაა. ■

ესაუბრა ანი ჭანკოტაძე.



ამაზონ ჩაიხას მაცხოვანი

"ხელი ღა მძინარება" ნიბრვების

ნიგვზიანში 9 ნოემბერმა
მშვიდად ჩაიარა, თუმცა
რელიგიური კონფლიქტის
სახელმწიფოს მხრიდან
მოგვარების პრეცედენტი ისევ
არ არსებობს.

თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა





გურიის სოფელ ნიგვზიანის ცენტრში უჩვეულო ხალხმრავლობაა. ავტომაგისტრალის პირას, ავტობუსების გაჩერებასთან სოფლის მოსახლეობა ხშირად იყრიბება, თუმცა ამდენი – იშვაათად. დღეს აქ ათეულობით არიან: ახალგაზრდები, მოხუცები, ბავშვები... მოუხედავად იმისა, რომ პარასკევია, დღის 12 საათი, სკოლში კი ჯერ მესამე ან მეოთხე გაკვეთილი უნდა იყოს, თავშეყრის ადგილას მოსწავლეებიც ბევრი არიან. დღეს ისინი გაკვეთილებს არ დასწრებან – არც მშობლები ყოფილან ამის წინააღმდეგა: ის, რაც დღეს სოფლის ცენტრში ხდება, მათთვის ბევრად მნიშვნელოვანია.

ყველანი ღვთისმშობლის ხატის წინაშე არიან დაჩინქილები. უფრო სწორად, ჩაცუდებები, რადგან დილიდან წვიმს და ტალასან მინაზე მუხლების დადებით ტანსაცმლის დასვრა არავის უნდა: ამ მნიშვნელოვანი დღისთვის უმეტესობა საგანგებოდ გამოიწყო.

პარაკლისს ექვსი მღვდელი აღავლენს:

„დედაო ღვთისავ, შეგვინყალენ ჩვენ...“ ისმის ავტობუსების გაჩერებასთან. ლოცვას ფონად სამკაციანი გუნდის საგალობელი მიჰყება. სოფელში ეკლესიაც არის, მაგრამ ჯერ არ ფუნქციონირებს. შენობა უსახსრობის გამო მხოლოდ გარედანაა დასრულებული, შეგნით კი არც საკურთხეველია და არც სხვა რამ, რაც ტაძრისთვისა საჭირო – მხოლოდ ხარაჩოები. „შენობა ერთი ჩვენი თანასოფლელის შემონირულობით ავაშენეთ, რომელიც რუსეთში ცხოვრობს და საკმაოდ შეძლებულია“, – ამბობენ ნიგვზიანელები.

თუმცა, ეკლესის უფრინულობისა არ არის იმის მთავარი მიზეზი, რომ პარაკლისს სწორედ ამ ადგილას იხდიან. სოფლის ცენტრი იმ სახლთანაა ახლოს, სადაც უკვე თიხი თვეა, ნიგვზიანელი მუსლიმები ყოველ პარასკევს სალოცავად იყრიბებან. დღევანდელი პარაკლისიც სწორედ ამ ლოცვის პარალელურად იმართება.

ნახევარი საათის წინ აქ ჯვარი აღმართეს. ხალხი ამ საზემო ცერემონიაზე დასასწრედილიყო.

ბად დილის ათი საათიდან იკრიბებოდა: ყველას უნდოდა, ჯვრის აღმართვაში თავისი წვლილი შეეტანა – მინასა და ქვეშს მუჭით იღებდნენ და საძირკვლად ამოთხრილ პატარა ორმოში ყრიდნენ. „ქვეპი ლამაზად შემოაწყვეთ, გოლგოთასავით“, – ამბობდა მღვდელი და თავდახრილ ხალხს ნაკურთხნულს დიდი ფუნჯით აპკურებდა.

ამ დროს ყურადღებას აღარავინ აქცევდა იქვე შეკრებილ უკურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებსაც რამდენიმე წუთით ადრე საკმაოდ აგრესიულად ეყრდნობდნენ. „წადით, თქვეს სახლში აიშენეთ მეჩეთი!“ – უყვირდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „ტოლერანტობის სახლის“ წარმომადგენლებს. ბავშვებმა სკანდირებაც კი დაიწყეს: „წა-დი! წა-დი!“.

თბილისელ არასამთავრობოებთან ერთად თავშეყრაზე სამართალდამცავებიც გამოჩენდნენ, რომლებიც ცდილობდნენ, შეღაპარაკება დაპირისპირებაში არ გადაზრდილიყო.



„შეხე, რავა კიცინები დაუმაგრებია თავზე“; „გამე ბიჭო, რო ელაპარაკები, მაგას ახლა თავი გმირი ჰგონია“; ხალხო, დეიმალეთ, არ გინახავთ კიცინიანი კაცი?!“ – ისმოდა შეძახილები აქეთ-იქიდან.

– რა გვარი ხარ? – ეკითხება ნიგვზიანელი მოხუცი ქალი „ტოლერანტობის სახლის“ ნარმომადგენელს.

– ღლონტი.

– უმე, რავა შემირცხვინა გვარი! რაღა ვქან!

ნიგვზიანელები იმ ინფორმაციით არიან უქმაყოფილო, რაც ტელევიზიით ბოლო კვირების განამავლობაში ვრცელდება: „ჩვენი წარმა ნათქვამი ქე უკუღმა გამოგაქვთ ტელევიზორში“, – ამბობენ შეკრებილები და უკურნალისტებს ნიტერვიუს მიცემაზე უარს ეუბნებიან: „თქვენ ამბობთ, რომ აქ ომია. ა, ბატონო, სადა ომი?! ჩვენ, უბრალოდ, არ გვინდა, მაგრენმა აქ მეჩეთი დაგვიდგან. ილოცონ თავიანთ სახლებში“ – ამბობენ ნიგვზიანელები.

სოფლის ცენტრი იმ სახლ-თანაა ახლოს, სადაც უკვე ოთხი თვეა, ნიგვზიანელი მუსლიმები ყოველ პარასკევს სალოცავად იკრიბებიან. დღევანდელი პარაკლისიც სწორედ ამ ლოცვის პარალელურად იმართება.

მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში სოფელი ნიგვზიანი ორი კვირის წინ მოექცა, მაშინ, როდესაც სოფლის ქრისტიან და მუსლიმ მოსახლეობას შორის ურთიერთობა დაიძაბა. ეს 26 ოქტომბერს, ბაირამის დღესასწაულზე დაიწყო. იმ დღეს სოფლის მუსლიმურ სალოცავში უჩევეულოდ ბევრი ადამიანი შეიკრიბა. ამ სამლოცველოში პარასკევის ტრადიციული ლოცვები ბოლო ოთხი თვეა

ტარდება, თუმცა ამას სოფლის მართლმადიდებელი მოსახლეობის მხრიდან მსგავსი უქმაყოფილება არ მოჰყოლია.

ერთი კვირის შემდეგ დაძაბულობა დაპირისპირებაში გადაიზარდა, როდესაც მოსახლეობის ნაწილმა სასულიერო პირებთან ერთად მუსლიმთა ლოცვისთვის ხელის შეშლა სცადა.

ნიგვზიანი მომხდარ ინციდენტს პოლიტიკოსები იმავე დღეს გამოეხმაურნენ. ოპოზიცია პრობლემის მოგვარებაში პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებდა. ხელისუფლება კი ინციდენტის პროვოკირებაში ყოფილ მთავრობასა და პრეზიდენტს ადანბაულებდა. იუსტიციის მინისტრი პრობლემის გადაჭრის ადეკვატურ გზად საქართველოს საპატრიარქოსა და მუსლიმთა თემს შორის მოლაპარაკებას მიმწევდა.

საქართველოს პატრიარქის მდივანი მიერ ბოტკოველი „ლიტერალთან“ საუბრისას ნიგვზიანის ინციდენტის მოგვარებაში საპატრიარქოს ჩარევის შესაძლებლობას



ფოთოები გერმანიის მოხადას

ნიბვზიანის ქორისა

ნიგვზიანში მომხდარ ინციდენტს პოლიტიკოსების მხრიდან გა-
მოხატულება მაღლევე მოჰყვა.

► „9 წელიწადი საქართველოში მსგავსი დაძაბულობა არ ყოფილა, ამიტომ მე დარჩმუნებული ვარ, რომ სამოქალაქო მშვიდო-
ბა და წვერი მოქალაქეების მშვიდობიანი თანაცხოვრების გაგრძე-
ლება ახალი მთავრობის ინტერესებშიც უნდა იყოს“, – ამბობდა
პრეზიდენტი მიხეილ სააკშილი თავის საგანგებო განცხადებაში.

► ადამიანის „უფლებების დაცვის საპარლამენტო კომიტეტის
თავმჯდომარე ეკა ბესელია ამტკიცებდა, რომ ნიგვზიანში ადამია-
ნის უფლებები არ დარღვეულა და ეს უპრალოდ უთანხმოება და
აზრთა სხვადასხვაობა იყო. პარლამენტარი ინციდენტის პროვო-
ცირებაში პრეზიდენტსა და ყოფილ მთავრობას ადანაშაულებდა.

► არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაცია“ კი პრობლემის მოგვარებაში პასუხისმგებლობას
ხელისუფლებას აკისრებდა: „ასევე, ვფიქრობთ, რომ უნდა
დადგეს სოფელ ნიგვზიანის რემუნებული ირაკლი გუჯა-
ბიძის, თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რო-
მელიც INFO 9-სთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ
პრობლემის გადაწყვეტის დროს, ადგილობრივი თვითმმარ-
თველობა მხარს დაუჭერს უმრავლესობის აზრს (რომელიც,
თავის მხრივ, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რელიგიური უმ-
ცირესობის მიერ საკუთარი რელიგიური აღმსარებლობის გა-
მოხატვის უფლებას)“, – ეწერა ორგანიზაციის ოფიციალურ
განცხადებაში.



► ნიგვზიანის ინციდენტს თურქეთის კონსულიც გამოეხმაურა: მან პრობლემის დიალოგით გადაჭრის იმედი გამოიტქვა. „ჩემი პირადი მოსაზრებით, საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება ისარგებლოს კონსტიტუციური უფლებებით“, – ამბობდა კონსული.

► პარალელურად „ტოლერანტობის სახლმა“ და „უფლებათა სკოლაშ“ იუსტიციის სამინისტროსთან აქცია გამართა. აქციის 20-მდე მონაწილე ინციდენტში დამნაშავეების დასჯას ითხოვდა. ამგვარი ფაქტის დროს დაუსჯელობის პრეცენდენტი, მათი აზრით, რელიგიური დაპირისპირების გალვივებისთვის სხვა ადგილებშიც ნოყიერ ნიადაგს ქმნის.

► აქციის მონაწილეებს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აქციაზევე გამოეხმაურა. შენობიდან გამოსულმა პრესცენტრის

ხელმძღვანელმა აქციის მონაწილეები წულუკიანთან შეხვედრაზე შეიპატიჲა.

► იუსტიციის მინისტრმა სახელმწიფოს ჩარევის ნაცვლად სიტუაციის გამოსწორების უფრო ადეკვატურ გზად საქართველოს საპატრიარქოსა და მუსლიმთა თემს შორის მოლაპარაკება დაასახელა: „ჩვენ არ ვაპირებთ ნინა ხელისუფლების მსგავსად ძალის დემონსტრირებას, მანამდე სანამ ყველა ფოლიური გზა ამოწურული არ არის“.

► 5 ნოემბერს ნიგვზიანის ინციდენტი პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტშიც განიხილეს. შეხვედრას მუსლიმთა მუფთი ჯემალ პაქსაძე ესწრებოდა. „მუსლიმთა სამლოცველოში პარასკევის ტრადიციული ლოცვა გაგრძელდება,“ – ამბობდნენ შეხვედრის დასრულების შემდეგ მისი მონაწილეები.

କ୍ଷେତ୍ରପତ୍ର

უარყოფდა. მისი თქმით, ეს უთანხმოება სახელმწიფოს უნდა მოეგვარებინა, თუმცა, იმავე საღამოს, მეცხრე არხის სიუკუპში საქართველოს საპატრიარქოსა და მუსლიმთა თემს შორის შეთანხმების დეტალები გავრცელდა: შეთანხმების მიხედვით, ნიგვზანში მეჩეთი აღარ აშენდება და რეგიონში მცხოვრები მუსლიმები ნიგვზანში სალოცავად აღარ შეიკრიბებიან.

ნიგეზიანელი არჩიოდ კახაძე, რომლის სახლშიც მუსლიმების სალოცავია მოწყობილი, მე-9 არხის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას არასარის უწოდებს და ამბობს, რომ ლოკვები კვლავაც გაიმართება.

ნიგზიანში მუსლიმები და ქრისტიანები უკვე ათეულობით წელია, ერთად ცხოვრობენ. ვინრო, ტალახიანი ქუჩების გასწვრივ ორივე სარწმუნოებს მიმდევართა სახლები, ხშირად, გვერდიგვერდ დგას. სოფლის სკოლაში მუსლიმი და ქრისტიანი ბავშვები ერთად სწავლობენ. პედაგოგიც ორივე აღმასარებლობის წარმომადგენლები არიან. სოფლის ყოველდღიურ ყოფაში ჩართულ ნიგზიანელებს მხოლოდ რელიგია განასხვავებთ. ნიგზიანელების თქმით, მართალია, ამ ორი სარწმუნოების მიმდევრებს ერთმანეთში ახლო მეგობრობა არ აქვთ, თუმცა ურთიერთობა ყოველთვის კეთილმეზობლური იყო: „ნორმალური ურთიერთობა გვაქვს ქრისტიან მოსახლეობასთან. მართალია, რელიგიით მუსლიმი ვარ, მაგრამ ისეთივე ქართველი, როგორიც ყველა“, – ამბობს რა-

მაზ კვისძებ და ლიმილით დასხენს, რომ მისი რელიგიური ადათის მიუხედავად ქრისტიან თანასოფლელებთან ხშირად დაულევია კი- დეც.

სიტუაცია ბაირამის გასული დღესასწაულის შემდეგ შეიცვალა: ქრისტიანებს არ უნდათ, რომ მათ სოფელში სხვა სარწმუნოების სალოცავი იყოს. მათი თქმით, მაშმადინი თანასოფლელების საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, თუკი ისინი საკუთარ სახლებში იღო-ცებენ. „150 მუსულმანმა რომ ჩემი სახლის წინ გაიაროს, არასასიამოვნოა. კეთილმეზობლური ურთიერთობა გვქონდა და არ გვინდა, ამის გამო სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდეთ“, – ამბობს პედაგოგი, ნათა აფხაზავი. იგი იმავე სკოლაში ასწავლის, სადაც მისი თექვსმეტი წლის ქალიშვილი მუსლიმ თანატოლებთან ერთად სწავლობს: „სკოლის შემდეგ ურთიერთობა ნაკლებად გვაქვს, ისინი სულ შრომობენ და თავისუფალი დრო ნაკლებად აქვთ, თუმცა ერთმანეთის დაბადების დღეებზე დავდივართ“, – ამბობს ქეთი.

16 ნილის ქეთიმ, ბევრ სხვა კლასელთან
ერთად პარასკევის სკოლა გააცდინა, რომ
დილით ვკვრის აღმართვას დასწრებოდა. ის
ქრისტიანულ ოჯახში იზრდება. მათი სახლის
მისაღებ ოთახში, ბუხრის გვერდით, კედელზე,
ღვთისშმობლის დიდი გამოსახულებაა
დახატული. სოფელში ისლამური სალოცა-
ვის არსებობას ქეთი (კ) ეწინააღმდეგობა.

როდესაც სოფელში მუსლიმური სამლო-
ცველოს არსებობის წინააღმდეგ გამოდიან,

ნიგვზიანელი ქრისტიანები პარალელს
აფხაზეთსა და სამაჩბლოსთან ავლებენ.
ისინი მიიჩნევენ, რომ სოფელში მეტეთის
არსებობა წინაპირობაა, აფხაზ და გუ-
რიასაც აფხაზეთისა და სამაჩბლოს ბედი
ეწიოს. „დღეს რომ ჩვენთან იყვრიებს მუე-
ძინი, ხვალ მთელ კუთხეს მოედება“, – ში-
შობენ ნიგვზიანელები.

არჩილ კახაძე, რომლის სახლშიც მუ-
სულმანთა სამლოცველოა მოწყობილი,
ამბობს, რომ მათი თემი არსებული სალო-
ცავითაც კმაყოფილია და სოფელში მინა-
რეთებიანი მეჩეთის აღმართვა არ სჭირდე-
ბათ.

ნიგვზიანებების თქმით, იქ, სადაც ახლა
ლოცვა ტარდება, აღრე ქათმების ფერ-
მა იყო. „ორი წლის წინ ეს სახლი თურ-
ქება იყოდა, სახელად ალი ხოვაძე“, – ამბო-
ბს ნიგვზიანელი გელა ცულუში. სოფლის
ქრისტიანი მოსახლეობა ირჩებულა, რომ
მათ მუსლიმ თანასოფლელებს სწორედ ეს
თურქები აფინანსებს. „როდესაც ჩვენთან და-
სახლდნენ პურის ფული არ ჰქონდათ, ახლა
კი თითქმის ყველა შედარებით შეძლებულად
ცხოვრიობს. როგორ მოახერხეს?!“ – ამბობს
30 წლის რამაზ შაინძე.

„შრომითი ხელშეკრულების მოშლა შეიძლება ერთ-ერთი მხარის ინიციატივით“, – ამბობს კოდექსის 38-ე მუხლი. 37-ე მუხლი კი, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთვის საკმარის საფუძლად ხელშეკრულების მოშლას მიიჩნევს. „კოდექსის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებული არაა განუმარტოს დასაქმებულს სამსახურიდან მისი გათავისუფლების მიზეზი. მას არც გათავისუფლების გადაწყვეტილების წინასწარ შეტყობინების ვალდებულება აქვს. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოქალაქე სამსახურიდან პოლიტიკური შეხედულებების, პროფესიული კავშირების წევრობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ან სხვა ნიშნით დაითხოვეს, დისკრიმინაციის ფაქტის დამტკიცებას ვერ მოახერხებს, რადგან სასამართლო გათავისუფლებისთვის საკმარის არგუმენტად მიიჩნევს „დამსაქმებლის ინიციატივას“, რა მოტივიც

საზოგადოება

არ უნდა იმაღლებოდეს მის მიღმა“, – ამბობს პროფესიული კავშირების იურისტი.

„საქართველოს შრომის სამართალი დასაქმებულის იოლად გათავისუფლების საშუალებას იძლევა მიზეზის დასაბუთების გარეშე მინიმალური ერთი თვის ხელასის კომპენსირებით. ამ ლეგალურ რეზიმს შეუძლია შეაფერხოს პროფესიული კავშირების შექმნისა და მოქმედების თავისუფლება“, ასე შეაფასა მოქმედი კანონმდებლობა ამ წლის თებერვალში მაინა კიამ, გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა შეკრებისა და გაერთიანების თემებზე.

შრომის კოდექსში საერთოდ არაა ნახსენები შრომითი ურთიერთობის დამყარებამდე, ე.წ. წინასახლშეკრულები პერიოდში შესაძლო დასკრიმინაცია, რაც პოტენციურად განსაკუთრებით ქალებს ემუქრებათ. „დამსაქმებლებს, ცხადია, ურჩევნიათ მოერიდონ ქალების სამსახურში აყვანას, რომლებსაც შემდეგში, შესაძლოა, დეკრეტული შევბულება და ბავშვის მოსახლელად საჭირო შეღავათები დასჭირდეთ, რაც დამსაქმებლისთვის დამატებით ხარჯებს უკავშირდება. ამიტომ საჭიროა დამსაქმებელი ვალდებული იყოს წერილობით ახსნას საკუთარი პოზიცია არა მხოლოდ სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, არამედ სამსახურში აყვანისას მიღებული უარის გამო“, – ამბობს რაისა ლაპარტელიანი.

შრომის ექსპლუატაცია

შრომის ექსპლუატაცია, ანუ დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის შრომის უკანონო მითვისება განსაკუთრებულად ორ ასპექტში გამოიხატება: ზეგანაკვეთურ შრომასა და მოკლევადიან ხელშეკრულებებში.

სამუშაო დროის შესახებ შრომის კოდექსში არსებული ჩანაწერი, ფაქტობრივად, სარეკომენდაციო და არა სავალდებულო ხასიათს ატარებს და დათემით იწყება: „თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“, სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 41 საათს.

„არის შემთხვევები, 60-80 საათი შეიძლება იმუშაოს დასაქმებულმა. კოდექსის ერთადერთი შეზღუდვა, რომ სამუშაო ცვლებს შორის 12 საათზე ნაკლები არ უნდა იყოს, შესაძლებლობას იძლევა, რომ დამსაქმებელმა ხელშეკრულებით 84 საათიანი სამუშაო კვირა დააწესოს“, – ამბობს პროფესიული კავშირების იურისტი.

სამუშაო დროის განსაზღვრის ხელშეკრულებისთვის მინდობა პრაქტიკაში ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებას შეუძლებელს ხდის. „თუკი სამუშაო დრო 8 საათს ზემოთ დამვებულია და ნორმალურ სამუშაო დროდ შეიძლება ჩაითვალოს, მაშინ გაუგებარია, რას ნიშნავს ტერმინი „ზეგანაკვეთური შრომა“ და რატომ უნდა ანაზღაურდეს იგი“, – ამბობს გორა ალექსანდრია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტის კოორდინატორი.

შრომის საერთაშორისო სტანდარტებით კი, ზეგანაკვეთური შრომა გაზრდილი ტარიფით უნდა ანაზღაურდეს (იგულისხმება, რომ თითოეული საათის ანაზღაურება უნდა მოხდეს იმაზე ძვირად, ვიდრე 8 საათიან სამუშაო დღეში შემავალი საათების). „მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, სამუშაო დროის პრობლემა იდგა ახლად ფეხადგმული კაპიტალიზმის ქვეყნებში, საქართველოში კი ეს პრობლემა დღეს დგას“, – ამბობს ალექსანდრია.

შრომის კოდექსი აღიარებს დამსაქმებლის მითითების შეუზღუდვა უფლებას შრომის შესარულების ფორმატსა და შინაარსთან მიმართებაშიც. ანუ, ხელშეკრულების დადების შემდეგაც, დამსაქმებელს შესაძლებლობა რჩება თვითნებურად შეცვალოს ურთიერთობის პირობებით. „შესაბამისად, დამსაქმებლისთვის მითითების უფლება მნიშვნელოვნად უნდა შეიზღუდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამსაქმებელს ეძლევა შესაძლებლობა, ბოროტად გამოიყენოს მითითების უფლება და დასაქმებულის ინტერესების უგულებელყოფით, ცალმხრივად შეცვალოს შრომითი ურთიერთობის არსებითი პირობები“, წერს ევროპული სამართლის ექსპერტი.

სოფიო ჩაჩავა საიას მიერ ჩატარებულ კვლევაში.

კიდევ ერთი პრობლემა მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებებია, რასაც ხშირად მიმართავენ არა მხოლოდ კერძო დამსაქმებლები, არამედ სახელმწიფო სტრუქტურები, სკოლებით უნივერსიტეტები. ისინი გამოყენებულია, როგორც დამსაქმებლის მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის არიდების მცდელობა. მაგალითად, საქართველოს შრომის კოდექსით ანაზღაურებადი 24 დღანი შვებულების უფლება დასაქმებულს 11 თვის მუშაობის შემდეგ უჩენდება. შესაბამისად, 1 წლიანი ხელშეკრულებების შემთხვევაში, შვებულების უფლების გამოყენებას მოქალაქები ვერ ახერხებენ. პროფესიული კავშირების წარმომადგენლები საუბრობენ, რომ მათ წევრებში არიან ისეთებიც, ვინც ასეთი მოკლევადიანი, ყოველწლიურად განახლებადი ხელშეკრულებით ერთსა და იმავე ადგილას წლობით მუშაობენ, მაგრამ შვებულების უფლებით სარგებლობას ვერ ახერხებენ.

იურისტებს მიაჩინათ, რომ შვებულების უფლების უზრუნველსაყოფად შრომის კოდექსმა განმეორებითი ხანმოკლე კონტრაქტები უნდა აკრძალოს ისეთი სამსახურებისთვის, სადაც აშკარაა, რომ დამსაქმებელს დასაქმებულის მხრიდან ხანგრძლივი და არაერთჯერადი სამსახურის გაწევა სჭირდება. ხანმოკლე კონტრაქტები შვებულების უფლების გარდა, ზოგადად, მეტად დამოკიდებულს ხდის დასაქმებულებს დამსაქმებლების ნებაზე. საჯარო სამსახურები კი კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ ხელახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარის თქმა, როგორც ამას უნივერსიტეტის ლექტორების შემთხვევები აჩვენებს, კადრების სუბიექტურად და მიკროძოებულად შერჩევის შესაძლებლობებს აჩენს. იურისტების აზრით, ამ პრობლემებს მოაგვარებდა დასაქმებულთან უვადო ხელშეკრულების გაფორმებაზე, მას შემდეგ, რაც ამოინურება გამოსაცდელი ვადა და დასრულდება პირველი ხანმოკლე კონტრაქტი.

უსაფრთხო შრომა

საქართველოში ძალიან მაღალია მუშაბის სიკედლიანობისა და დაზიანების სტატისტიკა. 2009 წლის შემდეგ, მხოლოდ მშენებლობებზე 100-ზე მეტი მუშა დაიღუპა. ხშირად ხდება საწარმოო ავარიები ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროებშიც. ჭიათურაში, სადაც შრომითი პირობების გაუმჯობესებისა და ხელფასის გაზრდის მოთხოვნით უკვე მეორე კვირა მუშების გაფიცვა მიმდინარეობს, „ლიბერალმა“ თავადნახა, რომ მუშებს ავარიულ პირობებში უწევთ მუშაობა. ამ წლის ზაფხულში ქუთაისში ინციდენტი მოხდა ახალი პარლამენტის მშენებლობისასაც, სადაც რამდენიმე მუშა დაზიანდა.

შრომის კოდექსი ზოგადად ოლიარებს ადამიანის უსაფრთხო გარემოში მუშაობის უფლებას, თუმცა კოდექსში განსაზღვრული არაა მექანიზმი, რომელიც ამ უფლების რეალიზაციაზე იქნებოდა პასუხისმგებელი. 2006 წელს, ახალი კოდექსის მიღების თანადროულად, გაუქმდა შრომის ინსპექცია – სახელმწიფო სამსახური, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით შრომის ტექნიკურ უსაფრთხოებაზე იყო პასუხისმგებელი. ინსპექციის გაუქმების მიზეზად კორუფცია დასახელდა. თუმცა, მისი ალტერნატიული სამსახური ამ დრომდე არ შექმნილა.

უმუშოვრობა – მთავარი პარიტო შრომის უფლების დაცვის გზაზე

შრომის კოდექსის შეცვლის ინიციატივები მიიჩნევენ, რომ საკმარისი არ იქნება არსებულ კოდექსში რამდენიმე მუხლის შეცვლა, თუ ჩამატება. მათი თქმით, კანონი კომპლექსურ ცვლილებებს საჭიროებს. იმისთვის, რომ ეს კოდექსი შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი გახდეს, ლამის მისი ხელახლა დაწერა საჭირო.

მოქმედი შრომის კოდექსის ერთ-ერთი ავტორი, ვახტანგ მეგრელიშვილი მიიჩნევს, რომ დამსაქმებლების დასაქმებულების წინაშე სხვადასხვა პასუხისმგებლობებით დატვირთვა, ხელს შეუშლის ბიზნესის თავისუფლად განვითარებას და შრომით მოპილობას.

დამსაქმებლის კადრების თავისუფლად შერჩევის საშუალება და სურვილისამებრ გათავისუფლება, მისი აზრით, შრომის ბაზარს უფრო თავისუფალსა და კონკურენტულს ხდის, ბიზნესს კი კრიზისების დროს რესტრუქტურიზაციისა და სწრაფად აღდგენის საშუალებას აძლევს. „ვინ როგორ გაუმჯობედება ამ კრიზისებს, თამაშის წესებზეა დამოკიდებული. თუ ბიზნესს არა აქვს თავისუფლება, მაშინ ის ვერ გაუმჯობედება ასეთ გამოწვევებს“.

■ მეგრელიშვილს მიაჩნია, რომ დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობების შედეგიცაა, – აცხადებს „ლიბერალთა“ საუბრისას ევროკავშირის წარმომადგენელი, ოლივერ რაისნერი. მისი აზრით, საქართველოს მსგავს ქეყნებში სოციალური პრობლემების მოგვარება განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს.

„წევენ ვიცით, რომ მოსახლეობის 60% ყველაზე მტკიცნეულ პრობლემად დასაქმებას ასახელებს. ეს შრომითი ურთიერთობების შედეგიცაა“, – აცხადებს „ლიბერალთა“ საუბრისას ევროკავშირის წარმომადგენელი, ოლივერ რაისნერი. მისი აზრით, საქართველოს მსგავს ქეყნებში სოციალური პრობლემების მოგვარება განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს.

ეს შეცვერტებს ღირსეული შრომის საკმარის გარანტიად მხოლოდ შრომის კოდექსის შეცვლა არ მიაჩნიათ. უმუშევრობის მაღალი დონის შენარჩუნების შემთხვევაში (ოფიციალური სტატისტიკით, 15%) შრომის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას ისინი შეუძლებლად ოვლიან და შრომის კანონმდებლობის ცვლილების გარდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას მიიჩნევთ აუცილებლად.

„თუ ეს შრომის ბაზარზე უმუშევართა არსებული რაოდენობა დარჩა, რა უფლებირი სტატუსიც არ უნდა ჰქონდეთ დასაქმებულებს, მათ რეალიზაციას ვერ მოახერხებენ. ამჟამად საქართველოში დასაქმებულის უფლებების შეზღუდვა ძალიან მარტივი იმიტომ არის, რომ დამსაქმებელს მარტივად შეუძლია დასაქმებულების განუწყვეტლივ ჩანაცვლება. უმუშევრობის გამო სოციალური სტანდარტი იმდენად დაბალია, რომ ადამიანები იძულებული არიან ნებისმიერი ანაზღაურების ფასად იმუშაონ და საფრთხის ევეშ დააყენონ თავიანთი ჯანმრთელობა და სიცოცხლე,“ – ამბობს გოჩა ალექსანდრია. ■

მეგრელიშვილს მიაჩნია, რომ დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობა მხოლოდ შეთანხმების საგანია და შრომითი ხელშეკრულებით უნდა დარეგულირდეს. ამ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში კი მხარეებს შორის დავა სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენებით შეიძლება მოგვარდეს. ამდენად, მეგრელიშვილი ზოგადად უარყოფს სახელმწიფოს მიერ უშუალოდ შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებისთვის გამიზნული ნორმატული აქტების საჭიროებას.

უფლებადამცველები და პროფესიონები კი მოქმედ კოდექსს დისკრიმინაციისა და ზოგადად, ადამიანის უფლებათა დარღვევის ლეგალიზების გამო აკრიტიკებენ.

„შრომის კოდექსი ამას პირობითად ჰქიანი და მას ასე ყოფილი მთავრობის წევრები უწოდებდნენ. რეალურად კი, ეს არის შინაგანაწესი, თუ როგორ უნდა იქცოდნენ ადამიანები გეტოებში“, – მიაჩნია პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარეს ირაკლი პეტროვაშვილს.

„წევენ ვიცით, რომ მოსახლეობის 60% ყველაზე მტკიცნეულ პრობლემად დასაქმებას ასახელებს. ეს შრომითი ურთიერთობების შედეგიცაა“, – აცხადებს „ლიბერალთა“ საუბრისას ევროკავშირის წარმომადგენელი, ოლივერ რაისნერი. მისი აზრით, საქართველოს მსგავს ქეყნებში სოციალური პრობლემების მოგვარება განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს.

ეს შეცვერტებს ღირსეული შრომის საკმარის გარანტიად მხოლოდ შრომის კოდექსის შეცვლა არ მიაჩნიათ. უმუშევრობის მაღალი დონის შენარჩუნების შემთხვევაში (ოფიციალური სტატისტიკით, 15%) შრომის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას ისინი შეუძლებლად ოვლიან და შრომის კანონმდებლობის ცვლილების გარდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას მიიჩნევთ აუცილებლად.

„თუ ეს შრომის ბაზარზე უმუშევართა არსებული რაოდენობა დარჩა, რა უფლებირი სტატუსიც არ უნდა ჰქონდეთ დასაქმებულებს, მათ რეალიზაციას ვერ მოახერხებენ. ამჟამად საქართველოში დასაქმებულის უფლებების შეზღუდვა ძალიან მარტივი იმიტომ არის, რომ დამსაქმებელს მარტივად შეუძლია დასაქმებულების განუწყვეტლივ ჩანაცვლება. უმუშევრობის გამო სოციალური სტანდარტი იმდენად დაბალია, რომ ადამიანები იძულებული არიან ნებისმიერი ანაზღაურების ფასად იმუშაონ და საფრთხის ევეშ დააყენონ თავიანთი ჯანმრთელობა და სიცოცხლე,“ – ამბობს გოჩა ალექსანდრია. ■

ბიოჩი მანაპის სახე

როდესაც სამი წლის წინ სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი მენაბდემ რექტორობის ვადის გასვლამდე 10 თვით ადრე თანამდებობაზე უარი თქვა, ცხადი იყო, გადაწყვეტილება ზენოლის ქვეშ მიიღო. გარედან მოვლენები ისე ჩანდა, თითქოს მენაბდე ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ ოქრუაშვილს გადააყოლეს (ისინი ერთმანეთის ქვისლები არიან), არადა, სინამდვილეში პრობლემები შემაშფოთებლად ბანალური აღმოჩნდა – კერძოდ, ის არცთუ უმნიშვნელო ქონება, რაც სამედიცინო უნივერსიტეტს ეკუთვნოდა.

სოფიო თოდუა

დაპირისპირება სახელმწიფოსა და გიორგი მენაბდეს შორის ამ უკანასკნელის უნივერსიტეტში ლამის მისვლისთანავე (2006 წ.) დაიწყო, როცა ჯერ დანიშნული და შემდეგ აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული რექტორი იმ რეფორმების გატარებას შეუდგა, რისთვისაც დანიშნეს და აირჩიეს. პირველი კონფლიქტი უწყვეტ სამედიცინო განათლებას უკავშირდებოდა და აქაც, ისევე როგორც სხვაგან, გაუგებრობის მიზეზი არა იდეების ან ორიენტირების განსაზღვრა, არამედ პოლიტიკური კონიუქტურა გახდა. ექიმებს რომ მუდმივად სტირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება და ამ გზაზე მათ გარკვეულ ნაწილს სამსახურის დატოვება მოუნევდა, ესეც ცხადი იყო. სისტემა, რომელის თანახმადაც, ექიმების შემოწმება უნდა მომხდარიყო, გამართული არ ყოფილა; თუმცა, ამ ყველაფრის გამოსწორება შეიძლებოდა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების მხრიდან მინიმალური თანადგომა იქნებოდა. მაგრამ ხელისუფლებას – 2007 წელს, უკადურესად მძიმე არჩევნების წინ განაწყენებული ექიმების მომდურება ხელს არ აძლევდა.

მენაბდე გაჩუმდა, არჩევნებმა „მშვიდად და დარღვევების გარეშე“ ჩაიარა და ექიმებიც კმაყოფილები დარჩნენ.

მეორე კონფლიქტიც კვლავ უწყვეტი სამედიცინო განათლების გარშემო მომწიფდა, ოღონდ არჩევნებს გაკეში ერთი მიმზიდველი შენობა ჩაანაცვლა. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, რომლის რექტორიც მანამდე ასევე გიორგი მენაბდე გახლდათ, სამედიცინო უნივერსიტეტს შეუერთდა (ხელისუფლებას ინსტიტუტის გაუქმება სურდა), თუმცა, გამოსავალი შენობის დათმობის ხარჯზე შედარებით ადვილად გამოიძებნა.

მესამე კონფლიქტის მიზეზი საუნივერსიტეტო კლინიკები, მათ შორის – ეგრეთ წოდებული რესპუბლიკური საავადმყოფო გახდა. გიორგი მენაბდე თავის გუნდთან ერთად ცდილობდა, აეხსნა მინისტრების, პარლამენტარების და სამედიცინო წრეების წარმომადგენლებისთვის ამ კლინიკის მნიშვნელობა სამედიცინო უნივერსიტეტისთვის, მაგრამ ამაოდ...

რასაკვირველია, არათუ შესაძლებელი, აუცილებელიც კია, რომ

აკადემიურ წრეებში კამათობდნენ იმასთან დაკავშირებით, რამდენი საუნივერსიტეტო კლინიკა უნდა არსებობდეს ქვეყანაში და რა ფორმით, მაგრამ შეუძლებელია, სახელმწიფო ამ კლინიკებს მხოლოდ შენობებად აღიქვამდეს და მათ მუშტრის თვალით აფასებდეს. არადა, სწორედ ამგვარ მიღომასთან გვქონდა საქმე, რის გამოც დაიწყო გაუთავებელი მიმოწერა სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორსა და მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებს შორის. ამ ურთიერთობას მიმოწერას ვერ დაარქმევ, რადგან 2006-2009 წლებში გიორგი მენაბდის წერილებს, როგორც წესი, არავინ არ ეხმაურებოდა.

სამედიცინო უნივერსიტეტმა ერთი მეორის მიყოლებით დაკარგა ჯერ უვანიასა და ხეჩინაშვილის სახელმწიფო საუნივერსიტეტო კლინიკები და ბოლოს – „რესპუბლიკური საავადმყოფო“, რომლის პრივატიზაციის შეჩერებასაც ასე დაჟინებით ითხოვს დღევანდელი ჯანდაცვის მინისტრი. ცნობისათვის, რესპუბლიკური საავადმყოფო თავის დროზე სწორედ საუნივერსიტეტო კლინიკად აშენდა



თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი

ფოტო ლამაზე დაკარგილი

და დღესაც ჯერჯერობით ერთადერთია, რომელიც ხელახლა აღჭურვის შემთხვევაში ამ ფუნქციას სხვა კლინიკებთან შედარებით ადვილად დაიბრუნებს.

საუნივერსიტეტო კლინიკას სახელმწიფო ვერც იმ 100 საავადმყოფოს პროექტში მოიაზრებდა, რომლის აშენებასაც წინა ხელისუფლება შესაძლებელი იყო. კი ამ ფონზე ურთიერთობა სამედიცინო უნივერსიტეტსა და ჯანდაცვის სფეროზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის იმდენად დაიძაბა, რომ გიორგი მენაბდეს ადარც ეხმანებოდნენ, ახლობლები კი ურჩევენ: „კლინიკები დაივინყოს და ისიამოვნოს რექტორის თანამდებობით“.

2009 წლის ერთ დღეს გიორგი მენაბდეს ტელეფონით შეატყობინეს,

■ სახლში კი, შუალამისას რექტორს კუდ-ის სამი თანამშრომელი ეწვია და თავაზიანად, მაგრამ კატეგორიულად მოსთხოვა, რომ საბჭოს წევრებს კრების ოქმის ის ნაწილი შეეცვალათ, რომელიც გიორგი მენაბდეს მოსაფიქრებლად ერთი თვის ვადას აძლევდა.

რომ ჯანდაცვის მინისტრის მაშინდელი მოადგილე ირაკლი გიორგობიანი იბარებდა (სხვათა შორის, ი. გიორგობიანი მომდევნო მინისტრების მოადგილეც გახლდათ). გიორგი მენაბდე იხსნებს: „გიორგობიანი, რომელსაც ადრეც ვიცნობდი, შენუხებული დამიხვდა და მითხრა, მართალია, მე არ ვწყვეტ ამ საკითხს, მაგრამ რექტორობაზე უარი უნდა თქვა და უნივერ-

სიტეტიდან უნდა წახვიდეო. ვუპასუხე, რომ პრობლემას არ შევუქმნიდი, თუმცა დავინტერესდი, ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება. რადგან ჩვენ შინაურულად ლაპარაკი შეგვეძლო, განმიმარტა, რომ ჩემი წასვლა „სასტავმა“ გადაწყვიტა. მოგვიანებით, როდესაც ჯანდაცვის იმუამინდელ მინისტრს, ალექსანდრე კვიტაშვილს შევეხმიანე, დამიდასტურა, რომ პი-

საზოგადოება

რადად მან ამ გადაწყვეტილების შე-
სახებ არაფერი არ იცოდა. გიორგო-
ბიანი მოითხოვდა, რომ განცხადება
განათლების მინისტრის სახელზე და-
მენერა, თუმცა მე, როგორც აკადე-
მიური საბჭოს მიერ არჩეული რექტო-
რი, კანონის თანახმად საბჭოს წინაშე
ვიყავი ანგარიშვალდებული და არა –
განათლების სამინისტროსი, რომელ-
საც, ბუნებრივია, როგორც სასწავლო
დაწესებულებას, ჩვენი კურირებაც
ევალებოდა. მოსაფიქრებლად რამდე-
ნიმე დღე ვითხოვე, თუმცა ავუსტინი,
რომ ჩვემად გაპარვას არ ვაპირებდი
და აუცილებლად მოვიწვევდი აკადე-
მიურ საბჭოს”.

სანამ აკადემიური საბჭო შეიკრიბებოდა, გიორგი მერაბდემ თანამდებობის დატოვების მოთხოვნით მაინც მიმართა განათლების მაშინდელ მინისტრს ნიკა გვარამიას და მხოლოდ ის დაადგინა, რომ იმ მომენტისთვის „სასტატუში“ გვარამიაც არ იგულისხმებოდა. განცხადების დატოვებიდან რამდენიმე საათის შემდეგ მენაბდეს განათლების სამინისტროდან დაურეკეს. მინისტრი რექტორის მოულოდნელი გადაწყვეტილებით აშკარად გაკვირვებული ჩანდა.

„ოცდასუთი ნაბიჯი წინ, ერთი
ნაბიჯი „უკან“, – ასე დაასათაურა
გიორგი მენაბდეტ თავისი გამოსვლა
აკადემიური საბჭოს წინაშე და სანამ
თანამდებობის დატოვებაზე გააკეთე-
ბდა განცხადებას, ყველა იმ მიღწეულ
შედეგსა თუ პრობლემაზე გაამახვი-
ლა ყურადღება, რაც მისი რექტორო-
ბის პერიოდს დაემთხვა. 23 წევრის-
გან შემდგარმა აკადემიური საბჭოს
ოცდაერთმა წევრმა (ერთი თავად
მენაბდე გახლდათ, ერთიც კი საქარ-
თველოში არ იმყოფებოდა) რექტო-
რის წასვლა გააპროტესტა და ეს შე-
საბამისი ოქმით გაფორმდა. საბჭოს
წევრების ხელმოწერებთან ერთად
დადგენილებით ნანილში ასეთი ჩანა-
ნერი გაჩნდა: „შეუჩირდეს თბილისის
სახელმწიფო სამედიცინო უნივერსი-
ტეტის რექტორს გიორგი მენაბდეს
სამსახურებრივი უფლებამოსილების
განხორციელება 1 თვეს ვადით“. იყო

მწვავე გამოსვლები და პირდაპირი ბრალდებები ხელისუფლების მისამართით, რაც ასევე დასტურდება კრების სტენოგრაფიული მასალები-დან. ამისდა მიუხედავად, მენაბდემ კრება დატოვა და სახლში დაბრუნდა.

სახლში კი, შეუაღმისას რეგქტორს კუდ-ის სამი თანამშრომელი ეწვია და თავაზიანად, მაგრამ კატეგორიულად მოსთხოვა, რომ საბჭოს წევრებს კრების ოქმის ის ნანილი შეეცვალათ, რომელიც გიორგი მენაბდეს მოსაფიქრებლად ერთი თვის ვადას აძლევდა. მას შემდეგ, რაც მენაბდემ განუმარტა, რომ მას, როგორც უკვე გადამდგარ რექტორს, აკადემიურ საბჭოზე არა-ნაირი გავლენის მოხდენა აღარ შეეძლო და რომც შეძლებოდა, ამას მაინც არ გააკეთებდა, კუდ-ის თანამშრომლებმა კიდევ უფრო თავაზიანად აუსწენეს, რომ ნინააღმდევ შემთხვევაში პირადად მას სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა. სამწუხაროდ, გიორგი მენაბდეს სტუმრებისთვის ვინაობის დამადასტურებელი საბუთები არ მოუთხოვია, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ იმ ღამეს მას სხვა უწყების თანამშრომლები ესტუმრებოდნენ.

აკადემიური საბჭოს დაშლიდან რა-
მდენიმე საათის შემდეგ რექტორის
აპარატის უფროსს ნატა კოპალიანს
განათლების მინისტრის მოადგილე
მაია კოპალეიშვილმა დაურეკა და
სხდომის ოქმის დადგენილებითი ნა-
ნილის შეცვლა მოითხოვა. კოპალია-
ნის უარის მიუხედავად, მეორე დღეს
დადგენილებითი ნანილი მაინც შეი-
ცვალა და შემდეგნაირად გადაკეთდა:
„შეუწყდეს უფლებამოსილება თბი-
ლისის სახელმწიფო სამედიცინო უნი-
ვერსიტეტის რექტორს გორგი მე-
ნაძეს“. გამომდინარე იქიდან, რომ
თავდაპირველ და უკვე შეცვლილ ოქ-
მებს სხდომის თავმჯდომარე რამაზ
ჩიხრაძე (ასევე – აკადემიური საბჭოს
წევრი) და მდივანი მანანა ქუთელია
ანერენ ხელს, უნდა ვივარაუდოთ,
რომ ამ დოკუმენტის გაყალბებაში
მათაც მიუძღვით ბრალი. დღევან-
დელი გადმოსახედიდან არაა გამო-
რიცხული, რომ ისინიც ზენოლის

პირებმა. მემუქრებოდნენ, რომ ზიანს მიაყენებდნენ ჩემს ფეხმამე ქალიშვილს და დაიჭერდნენ ჩემს სტუდენტ ვაჟს. ამისდა მიუხედავად, მანც გადაწყვიტე საბუთების შეტანა, მაგრამ იმ შაბათ-კვირას ზენოლა განხორციელდა მათზეც, ვისთანაც გავიარე. მათ ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ. ბუნებრივია, ამ ამბის მერე უკან დავიხიე”.

სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორობაზე განცხადებები შეიტანეს მაღლაზ მიზანდარმა და ყარამან ფალავამაც, თუმცა, რამდენიმე დღეში საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე საბუთები უკან გაიტანეს. ამბობდნენ იმასაც, რომ სამედიცინო საზოგადოებაში ცნობილმა ადამიანებმა რექტორობაზე ფიქრი საერთოდაც დაივიწყეს.

ქეთევან გოგილაშვილმა, რომელიც გიორგი მენაბდის გუნდის წევრად ითვლებოდა (იგი ამავდროულად იყო სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი) და არასდროს არ მალავდა მკეთრად უარყოფით დამოკიდებულებას იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც სამედიცინო უნივერსიტეტში დატრიალდა, რექტორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში განაცხადი ბოლო წუთებში შეიტანა. არჩევნების დღეს ქეთევან გოგილაშვილი ასე იხსენებს: „უნივერსიტეტის პირველი სართული სავსე იყო ძალოვანი სტრუქტურის ნარმომადგენლებით, რაც, ბუნებრივია, გავლენას ახდენდა საბჭოს მუშაობაზე. როდესაც პრორექტორის კაბინეტში შევედი, იქ ზაზა გოროზია (სამეცნიერო-ზემო სვანეთის იმუამინდელი გუბერნატორი) და ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გიორგობიანი დამხვდნენ. ვკითხე კიდევ, რა უნდოდათ კენჭისყრის დღეს უნივერსიტეტში. შემომხედეს და გამიღიმეს“.

ქეთევან გოგილაშვილი, რასაკვირველია, რექტორად არ აირჩიეს და უნივერსიტეტის ახალ ხელმძღვანელად ხმათა უმრავლესობით ზურაბ ვადაჭერია დასახელდა, არჩევნებიდან 11 თვის თავზე კი გოგილაშვილის მეუღლე ბიზნესმენი ბაკურ

კილურაძე ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს (კილურაძე დღესაც ციხეში იმყოფება). თქმა იმისა, რომ ქმრის დაკავება ცოლის აქტიურობას უკავშირდება, რასაკვირველია, არასერიოზული იქნებოდა, თუმცა ქალბატონ ქეთევანს კარგად ახსოვს მისი მეუღლის ბიზნესპარტნიორის, ნიკო ლეკიშვილის სიტყვები: „აბა, რა გეგონათ, ასე რომ ჭიდაობდიოთ“. ეს ფაქტი ნიკო ლეკიშვილმა ახლახან დაადასტურა ერთ-ერთ ინტერვიუში, სადაც ის ბაკურ კილურაძეზე საუბრობს: „ბაკურს უთვლიდნენ, რომ, ჯობდა, მის მეუღლეს კანდიდატურა

„მეგობრული რჩევა“, როგორც ჩანს, ძალოვან სტრუქტურებში კარგად აპრობირებული მეთოდია. გიორგი მენაბდეს, რომელიც ჯერ კიდევ იყო აკადემიური საბჭოს წევრი, ახალი რექტორის არჩევნების დღეს სახლის ტელეფონზე დაურეკეს და მოსთხოვეს, უნივერსიტეტში არ მისულიყო და გოგილაშვილისთვის ხმა არ მიეცა. მენაბდე არჩევნებზე მანც მივიდა, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა ჯერ იმ სტომატოლოგიური კლინიკის დალუქვა („დენტექსი“), რომელსაც იგი სხვებთან ერთად ფლობდა, ოდნავ მოგვიანებით კი მისი მეგობარი, რომელსაც უმნიშვ-

■ „მეგობრული რჩევა“, როგორც ჩანს, ძალოვან სტრუქტურებში კარგად აპრობირებული მეთოდია. გიორგი მენაბდეს, რომელიც ჯერ კიდევ იყო აკადემიური საბჭოს წევრი, ახალი რექტორის არჩევნების დღეს სახლის ტელეფონზე დაურეკეს და მოსთხოვეს, უნივერსიტეტში არ მისულიყო და გოგილაშვილისთვის ხმა არ მიეცა.

მოეხსნა. მეც დამიკავშირდნენ და მთხოვეს, ბაკურისთვის გადამეცა, რომ მის მეუღლეს მოეხსნა კანდიდატურა“. კონკრეტულად ვინ დაურეკა ნიკო ლეკიშვილს, ეს უცნობია, თუმცა მას რომ ძალოვანი სტრუქტურების რიგითი თანამდრომლები არ დაუკავშირდებოდნენ და ამ თხოვნით უმაღლესი რანგის მოხელეები მიმართავდნენ, მგონი, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ქეთევან გოგილაშვილმა მხოლოდ მეუღლის დაკავშირების შემდეგ შეიტყო, რომ ბაკურ კილურაძესაც ურჩიეს თავის დროზე, რომ გოგილაშვილს უარი ეთქვა რექტორობაზე. არჩევნების დღეს კილურაძეს, რომელიც მეუღლეს სამედიცინო უნივერსიტეტში მიჰყვა, შელაპარაკება მოუხდა ძალოვანი სტრუქტურების ნარმომადგენლებთან.

ნელო თანამდებობა ეკავა სამედიცინო უნივერსიტეტის სამეურნეო ნაწილში, ნარკოტიკებთან დაკავშირებით დაკავეს.

გოგილაშვილის დამარცხებისა და ზურაბ ვადაჭერიას არჩევის შემდეგ კლინიკაც გაიხსნა და მეგობარიც მალევე გამოუშვეს ციხიდან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ამჟამინდელი რექტორი ზურაბ ვადაჭერია დაკავებულ თანამდებობას იმსახურებს თუ არა, ამაზე აჯობებს, აკადემიურ წრებში იმსჯელონ, მაგრამ ფაქტია, რომ მისი მოსვლიდან ყველა ის საკითხი, რასაც ყოფილი რექტორი და მისი გუნდი ენინალმდეგებოდნენ, სწორედ ისე გადაწყდა, როგორც ეს წინა ხელისუფლების ნარმომადგენლებს ანყობდათ. **■**

"Հիւնսովուն գոյեան համընթեան"

დღეს აფხაზეთის ბუნებას ყველაზე დიდ ხიფათს უდავოდ რუსული ფული უქმნის. არა თვით ფული, რასაკვირველია, არამედ ის პროექტები, რომლებშიც ეს ფული ჩაიდება.

დემის პოლანდოვი, რადიო „ეხო კავკაზა“-ს აუგაზური განცოლილების რედაქტორი, „რადიო თავისუფლება/ რადიო თავისუფლალი ევროპის“ მიმღმენლეველი



სოხუმი

აფხაზურ საზოგადოებაში ეკოლოგიუ-
რი პრობლემატიკა შესაძური სიხშირით
განიხილება. ეკოლოგიაზე აფხაზი პო-
ლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეე-
ბი საუბრობენ, წერენ ჟურნალისტები
და ბლოგერები, ამ თემას გვერდს ვერც
ცნობილ ბრეხალოვკაზე – აკოპის ყა-
ვახანის და სოხუმის სანაპიროს ხშირი
სტუმრები უვლიან.

დისკუსიის მიზეზი შეიძლება ნებისმიერი რამ გახდეს – ის, რომ „როსნეოფტი“ შპვი ზღვის აკვატორიაში ნავთობის ქაბურლილების ჩადგმას აპირებს, დალიგის წყალი ქვანახშირის მტკრისგანაა გამაჟებული, სოხუმის არხებში კი მაცივრები და სარეცხი მანქანები ყრია – ასეთია განსახილველი თემების მხოლოდ ნანილობრივი ჩამონათვალი. ხოლო თუ იმასაც გავისხენებთ, როგორ შეაჩერა „პრინციპული აფხაზი ეკოლოგების“ არგუმენტების მომიზეზებით ალექსანდრე ანგელაძემა ჩრდილოეთ კავკასიისკენ გასა-

ქრელი და კოდორის ხეობაზე გამავალი გზის მშენებლობის პროექტი, გაგრაში კი იახტების ნავსადგომიანი ტურისტული ცენტრის აშენების გეგმები ჩაშალა, ცხა-დი გახდება, რომ ეს სია შეიძლება მნიშვ-ნელოვნად შეიცვალოს. ამ საკითხების გადა-წყვეტა გეოპოლიტიკასაც უკავშირდება, შიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ წი-ნააღმდეგობებსაც და ვინ მოთვლის, კო-დევ რას. სხვა საკითხია, რამდენად არის დაკავშირდული ისინი ეკოლოგიასთან.

აფხაზეთი ყოველთვის ეკოლოგიური სამოთხე იყო და დღესაც ასეთად რჩება — არა იმიტომ, რომ ეკოლოგიის პრობლემებზე მართლაც დაფიქრებულ საზოგადოებას გარემოს დამაბინძურებელი პროექტების დაბლოკაციები მიუწვდობა ხელი. რასაც კი რეალია, არც „პრინციპული აფხაზი ეკოლოგების“ მცდელობება ამის მიზეზი. ბრჭყალებით გამოყოფილი ფრაზა, რომელიც აფხაზეთის პრზიდენტს იკუთვნის, შეკმლებელია

სხვაგვარად აღიქვა, თუ არა ბენების-
დაცვითი უწყების ხელმძღვანელის დაუ-
ფარავ დაცინვად. ამის თვალსაჩინოებად
„როსნეფტაზ“ დაკავშირებული მოვლე-
ნების გახსენებაც იკმარჯეს, რომელთა
დროსაც აფხაზეთის ეკოლოგიური სამ-
სახურის ხელმძღვანელს, რომან დაბარს
შელფის დამუშავების პროექტის ლამის
მთავარი ლობისტის როლი ერგო. საზო-
გადოებრივ პალატაში გამართული მოს-
მენის დროს დაბარმა დიდანს იღაპარაკა
„როსნეფტის“ ღირსებებზე, რუსეთის
სტრატეგიულ მიზნებზე, ნავთობპრო-
დუქტებით აფხაზეთის უზრუნველყოფის
პრობლემებზე – ანუ ყველაფერზე, რე-
ალური ეკოლოგიური რისკების გარდა,
ხოლო დპარის განმარტებები, თითქოს
ზღვის წყალი დაბინძურების ყოველგვარ
ფორმას დასავლეთის მიმართულებით
ნაიღებს, და თუ შავი ზღვა „როსნეფტის“
მიზეზით დაბინძურდება, ამ კომპანიას
მსოფლიო საზოგადოების წინაშე მოუწე-

კს პასუხისმგება, რა თქმა უნდა, ეკოლო-
გიური აზროვნების „არაჩვეულებრივი“
თვალსაჩინოება.

ზოგადად, ომისშემდგომი აფხაზეთის
ეკოლოგიური კეთილდღეობა მხოლოდ
იმითაა განპირობებული, რომ გარე-
მოსაზღვითი თვალსაზრისით ხილათის
შემცველი პროექტები იქ არც განხორ-
ციელებულა. ტყეები იჩენებოდა, მაგრამ
არა იმ მასშტაბით, რომ სერიოზული
ზიანი მიეყენებინა ტყის მასივებისთვის,
რომლებიც ადრინდელი სასოფლო-
-სამეურნეო მიწების ხარჯზე, პირიქით,
ფართოვდებოდა: მოსახლეობის ოდე-
ნობის ორჯერ შემცირებამ და საპჭოთა
სახელმწიფო დაკვეთის არარსებობამ
თავისი ქნა. ქვენახშირის მოპოვება გრ-
ძელდება, მაგრამ მერე თურქეთში იყი-
დება, მაშასადამე, თურქულ ბრძმედებში
ხვდება და (აյ ბ-ნი დბარის ლოგიკას მი-
კვიდიო) აფხაზეთის ცას არ ჭარბობა.

ქვანაბშირის მტევრი რომ დალიძგის და ოჩამჩირის სანაპირო წყლებში ხვდება, რა თქმა უნდა, ვერ არის კარგი საქმე, მაგრამ ნებისმიერი ეკოლოგი დაადასტურებს, რომ ეს უფრო კოსმეტიკური პრობლემაა, ვიდრე რეალური ეკოლოგიური ზიანი. რეალური პრობლემა – ადრინ-დელიც და დღევანდელიც – ღორღის მოპოვებაა, რომელსაც გახშირებული მშენებლობებისთვის, მათ შორის, სოჭის რეგიონშიც, აფხაზეთის მდინარეებს აცლიან. სხვაგარად რომ ვთქვათ, თუკი აფხაზეთს ეკოლოგიური თვალსაზრისით იღბალი აღმოაჩნდა, ესეც მხოლოდ და მხოლოდ იმით მოხდა, რომ ომის შემდგომ წლებში აქ არც ინტენსიური ეკონომიკური ზრდა მომხდარა, არც ქარხნების, ფაბრიკებისა და მომპოვებელი საწარმოების მშენებლობა დაწყობულა.

დღეს აფხაზეთის ბუნებას ყველაზე დღიდ ხიფათს უდავოდ რუსული ფული უქმნის. არა თვით ფული, რასაკვირველია, არამედ ის პროექტები, რომლებმიც ეს ფული ჩაიდება. გასულ კვირაში „ფეისბუქის“ ერთმა აფხაზმა მომხმარებელმა უზარმაზარი პოსტი უძღვნა კარს მომდგარ რუსულ ტრანსს, რომელიც სადაცაა აფხაზეთს „თავზე დაეცემა“ და „დიდია რისკი, გზების, საბავშვო ბალების მშენებლობებში და სასწრავოდ დასატა-

რო კრედიტების გადახდაში მთლიანად
დაიხსარჯვოს“. თოთქმის არავის ეპარეჭა
ეჭვი, რომ ეკონომიკური თვალსაზრი-
სთ ეს პროექტები მცირედ ეფექტური
იქნება. თუმცა, აფხაზეთში მსხვილი სა-
ნარმოების მშენებლობის პერსპექტივა
ჩემს „ფეისბუქელ“ მეგობარს გაცილე-
ბით მეტად აშინებს და „ქარხნების,
თვითმფრინავების, გემების, მასობრივი
სავაჭახე მეურნეობების, უნიკალურ ად-
გილებში წამოწყებული ვითომ უკიდუ-
რესად საჭირო და აუცილებელი, სოჭის

■ ზოგადად, ომისშემდგომი

აფხაზეთის ეკოლოგიური

კეთილდღეობა მხოლოდ

იმითაა განპირობებული, რომ

გარემოსდაცვითი თვალსაზ-
რისით ხიფათის შემცველი
პროექტები იქ არც განხორ-
ციელებულა.

ტიპის „მშენებლობების“ მიმართ თავის უარყოფით ღამო კონკურენციაზე წარს.

ამგვარი ეკოლოგიური შიში – ჩემი
აზრით, სრულიად გამართლებული –
აფხაზეთში, მოაზროვნე ადამიანებს
შორის ზოგადად ძალზე გავრცელებულია.
ხელისუფლების ეკოლოგიური
არგუმენტაცია საზოგადოების ფართო
ფრენბშიც თითქმის უგამნაკლისოლ
მოქმედებს, მაშინაც კი, როცა აშკარად
ჩანს, რომ ამა თუ იმ გადაწყვეტილების
უკან მხოლოდ ბუნებისდაცვითი მოსა-
ზრდისათვის უკავშირი ისახავს.

თიუქები არ დგას. სავა საესე, რომ ეკოლოგიაზე მოფიქრალი და მზრუნველი ადამიანები ინსტიტუციურად არ არიან ორგანიზებულნი – ისეთი ეკოლოგიური ორგანიზაციები, რომელებიც გარემოს მდგომარეობის მონიტორინგს ჩაატარებდნენ, აფხაზეთში არ არის „მწვანეების“ პოლიტიკურ მოძრაობაზე აღარ კლაპარაკობ.

ამავე დროს, ისიც შეუძლებელია, ეკო-ლოგიასა და ეკონომიკურ პროგრესს შორის არსებული მუდმივი წინააღმდეგობა გამოცალევებით, მხოლოდ აფხაზეთში მოგვარდეს. დღეს ალექსანდრე ანქვაბის ეკონომიკურ პროგრამას ნათლად გამოსატული სოციალური სარჩევლი აქვს, და, ეკოლოგიის თვალსაზრისით, ეს ძალიან კარგია. ზოგადადაც, მისი ერთნაიანი მმართველობის პერიოდში, ანქვაბს ერთი ისეთი პროექტისთვის არ გაუხსნა გზა, რომელიც გარემოს რამენაირ ზიანს მიაყენებდა, პირიქითაც კია – რამდენიმე მსგავსი პროექტი ძროშივე აღკვეთა. თუმცა, ამის გამო კრიტიკასაც იმედის – ყოველ სოფელში საბავშვო ბაღის მშენებლობით ეკონომიკას ვერ ააშენებ, საზოგადოებაში კი ეკონომიკის სფეროში შესამჩნევი წინსვლის უქონლობის გამო უკმაყოფილება. იზრდება.

მაინც როგორი პროექტების განხორციელებაა მოსალოდნელი – სასოფლო-სამეურნეო, ტურისტული, როგორც არაერთხელ აღუნიშვნას აფხზეთის ლიდერს? ძალიან კარგი. მაგრამ ვინ გაადევნებს თვალს, როგორ ქიმიურ სასუქებს გამოიყენებენ აფხაზი მეწარმეები, როგორ თესლს შემოიტანენ აფხაზეთში სასოფლო-სამეურნეო მიწებზე სათესად, როგორ სარეცხ საშუალებებს იხმარენ ტურისტული კომპლექსების სამრეცხაოები, სად ჩაიღვრება ეს მონარჩენი ქიმიური საშუალებები? სამთავრობო წრეების სიახლოევს „პრინციპული აფხაზი ეკოლოგების“ არსებობა, ცოტა არ იყოს, ძნელად დასაჯერებელია. ესეც რომ არა, მსოფლიო პრატიკა გვიჩვენებს, რომ საზოგადოების და სპეციალიზებული არა-სამთავრობო ორგანიზაციების მკაცრი მეთვალყურეობის გარეშე ხარისხიანი ეკოლოგიური ზედამხედველობა ვერ იარსებებს. ❷



სატატია მომზადებულია პაინროპ ბიოლის ფონდის
მხარდაჭერით. ამ პულოვაკავაში გამოიწვეული
შეხედულებები და მოსაზრებები არ არის
აუცილებელი, გამოხატავდეს პაინროპ ბიოლის
ფონდის შეხედულებებს.

ՇՐՋԱՐԱՎՈՐԻՒՄ





ფოტორეპორტაჟი

ცხრილის ზღვაზე

გიორგი გოგუა

ՀՐԱՄԱՆԱԳՐԻ ՏԱՐԾՈՒՅՈՒՆ



თბილისის ზღვაზე რამდენიმე შენობაა. აქ ათეულობით დევნილი ოჯახი ცხოვრობს. ერთ-ერთ შენობაში, რომელიც დასახლების ცენტრშია განთავსებული, დევნილთა მე-6 საჯარო სკოლაა განთავსებული. სკოლა მეორე სართულზეა. შენობის პირველ და მესამე სართულზე კი საცხოვრებელი ოთახებია. სკოლაში ძირითადად დევნილი ბავშვები სწავლობენ. ეს შენობები წარსულში პროფესიული კავშირების გაერთიანების საკუთრება იყო. დევნილები წლებია ამ ფართების

დაკანონებას ითხოვენ, თუმცა როგორც თავად აღნიშნავენ, სახელმწიფოსა და პროფესიულების შორის დავა გრძელდება და ამიტომ ბუნდოვანია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სახელმწიფო. „საკუთრებაში არ გვაქვს, თუმცა ეს ჩვენი ერთადერთი პრიბლება არ არის. მაგალითად, ოჯახში 4 წევრიდან დასაქმებული არცერთი არ ვართ. სოციალურ დახმარებას ვიღებთ, რაც თვიდან თვემდე არ გვყოფნის“ – ამბობს ერთ-ერთი დევნილი ქალი. ■







სოციალური ჯენერაციის მიზნები - პოლიტიკური მონაცენის ახალი ფორმები

რას ნიშნავს სოციალური ქსელის გამეინსტრიმება? რა სიკეთე და რა საფრთხე მოაქვს ჩვენი, ჯერ არშემდგარი, დემოკრატიისთვის?



ლელა რეხვალშვილი
ცენტრალური ეკონომიკის
უნივერსიტეტის
დოქტორანტი

ბოლო წლების და განსაუკრებით, ბოლო თვეების მანძილზე სოციალური ქსელების როლი საქართველოს როგორც სოციალურ, ისე პოლიტიკურ ცხოვრებაში შესამჩნევად გაიზარდა.

ინფორმაციის გავრცელების საშუალებათა გამარავალებროვნება მიღიონობით ადამიანის ცხოვრებას ცვლის ბოლო ათლეულის მანძილზე. ისევე როგორც ყველა სხვა იარაღი, ინფორმაციაც ძალაუფლებაა, და არასდროს არ არის თავისთავად კარგი ან ცუდი. კარგი ის არის, რომ ნელ-ნელა ინფორმაცია უმცირესობის კონტროლისგან თავისუფლდება, ძირითადად ალტერნატიული ინფორმაციის წყაროების გაჩერის სახით; მეორე მხრივ, არსებობს საფრთხე, რომ ინფორმაციამ კიდევ უფრო აპათიური გახადოს მასები, რომელთაც პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენა კვლავ არ შეუძლიათ (ან ფიქრობენ, რომ არ შეუძლიათ).

ინფორმაციის გავრცელების ფორმებისა და გავლენების მნიშვნელობა შეიძლება მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში შეფასდეს. ჩვენ შემთხვევაში, ანუ ქართულ კონტექსტში ერთი შეხედვით საკამაოდ საინტერესო ძვრებია. თვალსა და ხელს შეა „ფეისბუქის“ სტატუსი მედია ნიჭის გახდა. ის, რასაც საჯარო მოღვაწეები, ან არასჯარო მოღვაწეები საკუთარ ვოლზე წერენ, რამდენიმე საათში იბეჭდება სტატიების სახით, საღამოს კი სოციალურ ქსელებში გავრცელებული მოთხოვნების, პეტიციების შინაარსს ტელევიზიებით გადმოსცემენ. ანუ, „ფეისბუქი“ ნელ-ნელა ინა-

ცელებსა სხვადასხვა ჯუფების სადისკუსიო პლატფორმიდან მეინსტრიმ მედიაში.

რას ნიშნავს სოციალური ქსელის გამეინსტრიმება? რა სიკეთე და რა საფრთხე მოაქვს ჩვენი, ჯერ არშემდგარი, დემოკრატიისთვის?

დროებით დავივინულოთ ის, რომ ფორმები, რა სახითაც სოციალურ ქსელებში ამოითხეულ ინფორმაციას მედია აგრცელებს, კიდევ ერთხელ ასახავს/ადასტურებს ქართული მედიის გულისმომკვლელ არაპროფესიონალიზმს. მიუხედავად ამისა, მანიც ვერდევ ორ პირზე პროცესს, რაც „ფეისბუქის“ გამეინსტრიმებას ახლავს.

პირველი შედეგი პირადი და საჯარო სივრცის აღრევაა. „ფეისბუქი“, რომელიც თავისებურად იყო და არის პირადი სივრცე, ახლობლებსა და მეგბრებთან კომუნიკაციის საშუალება, პარალელურად საჯარო სივრცეცაა. ის, რასაც მავანი წერენ საკუთარ ვოლებზე, იყითხება, ვრცელდება და ავტორებს პასუხისმგებლობის აღებას აიძულებს. ქართული საზოგადოება ორმაგი სტანდარტების საზოგადოებაა, სადაც პერსონა „სუფრაზე“ და პერსონა მიერთონთან ძალიან განსხვავებულ შეხედულებებს ამჟღავნებას. „სუფრა“, როგორც საასლობლო სივრცე, ტოლერანტულია არატოლერანტულობის მიმართ: ანუ პირადულ სივრცებში ყველას ეპატიება ნაციონალიზმი, შოგინიზმი, სექსისტობა, პომოვობია, აგრესია, დაცინვა და ათასი მსგავსი. „ფეისბუქი“, რომელიც თავისებურად „სუფრის“ გაგრძელებას ნარმალდება, ასევე ითავსებდა გარკვეულ ტოლერანტობას არმაგი სტანდარტების მიმართ. თუმცა, დროთა განმავლობაში თავად „ფეისბუქზევე“ დაწყო განაცხადთა გასაჯაროება, ანუ მავანთა აზრების გაზიარება და განხილვა. ნელ-ნელა კი ეს გასაჯაროება მეინსტრიმ მედიის ინტერესის სფერო გახდა და კონკრეტული შედეგებიც გამოი-

ღო. დღეს ყოფილ და მომავალ პოლიტიკურებსა და სხვა საჯარო პირებს სისტემატიურად მოეთხოვებათ პასუხი იმაზე, რაც უთქვამთ და დაუწერიათ.

ჩემი გადმოსახედიდან, პირადის და საჯაროს აღრევა მისასალმებელი პროცესია. რადგან ჩნდება შანსი, ორმაგი სტანდარტები შემცირდეს და შევინროვდეს. განმაკუთრებით ისეთ პირობებში, როცა საზოგადოება ზოგადად აქტიურია, მეტ კითხვებს სვამს და მეტ განმარტებას ითხოვს, საზოგადო მოღვაწეებზე მეტი ზეწოლა ხორციელდება. „მაგაცებში“ სათქმელი უკვე საჯაროდ თქმულია და მეტ დაფიქრებას მოითხოვს.

მეორე მნიშვნელოვანი პროცესი არის პოლიტიკური მონაცილების და საზოგადოებრივი აქტივობის ახალი ფორმების შექმნა/გაძლიერება. სოციალური ქსელების მეტვეობით სხვადასხვა ჯგუფისა და მოძრაობის მობილიზება დიდი ხანია ხორციელდება. მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების გავლენა პოლიტიკაზე მაინც ძალიან დაბალი იყო, რამდენადაც წინა მთავრობა დილილგზე არასოდეს თანხმდებოდა. ამ ტაზზე იგრძნობა, რომ მოსახლეობა აქვს იმედი, რომ ახალი ხელისუფლება მათ სურვილებს შეისმენს. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოება – ორგანიზებული (არასამთავრობობი, სტუდენტური მოძრაობები) და არაორგანიზებული (კონკრეტული ინიციატივების ირგვლივ შეკრებილი არაფორმალური ჯგუფები) – ძალიან გააქტიურებულია. „ფეისბუქის“ დისკუსიების და ინიციატივების მეინსტრიმ მედიაში გაშუქება კი ქმნის გარემოს, სადაც ის, რაც იყო ალტერნატივა, განმასხლველი ხდება, ვინრ დისკუსია უფრო და უფრო ფართოვდება; ონლაინ სივრცეს ხმა ემატება.

რა თქმა უნდა, ის ადამიანები, ვინც სოციალურ ქსელებში აქტიურობენ, ასევე აქტიურები არიან არავირტუალურ სი-

ვრცელდშიც და ფეისბუქებანხილვით არ
შემოიფარგლებან. სოციალურ ქსელთა
მნიშვნელობის გაზრდა მათი, როგორც
მრავალმხრივ აქტოური სამოქალაქო სა-
ზოგადოების მნიშვნელობის გაზრდას გუ-
ლისხმობს.

სამოქალაქო საზოგადოების მსგავსი
გააქტიურება, „და პოლიტიკურ გადაწყვე-
ტილებები მონანიღეობის სურვილი ყვე-
ლაზე მნიშვნელოვანია დემოკრატიული
პროცესების განვითარებისთვის.

მეტვენება, რომ უკანასკნელი ორი თვის მანძილზე, არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ გამოხატვის სივრცე გათავისუფლდა. სანამ ახალი ძალაუფლების კონსოლიდაცია მოხდება, ამ სივრცის მაქსიმალური გამოყენება ჩვენ შანსა, რომ მომავალშიც მოვახერხოთ პოლიტიკური პროცესების კონტროლი და შევინარჩუნოთ მასზე გავლენა.

საყრდენი

პირველი საფრთხე არსებული სამოქა-
ლაქო საზოგადოებისთვის სიცინწროვეა.
ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი
კვლავ მოწყვეტილია მიმდინარე პროცეს-
ბიდან. ალბათ არ იქნება გადაჭარბება, თუ
ვიტყვი, რომ საზოგადოების მცირე ნანი-
ლის ჩართულობა იმითაა განპირობებული,
რომ „დანარჩენს“ ხელი არ მიუწვდება ინ-
ტერნეტ სივრცეზე, და ვერც იმ დისკუსია-
ში იღებს მონაწილეობას, რომელიც მერე
ზოგად სამოქალაქო აქტივობაში გადაი-
ზრდება. ძალიან მიხარია, რომ მოძრაობა-
თა ნაწილი, მაგალითად „ლაბორატორია“,
ნარმატებულად ახერხებს თბილისის გა-
რეთ მიმდინარე პროტესტებისა და მოძრა-
ობების მხარდაჭერას. ასევე აფართოებს
ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხთა სიას
და ლიბერალური წესილებიდნ სოციალუ-
რი წესილების გაუღერება, მათ ირგვლივ
მობილიზება ხდება. სწორედ მსგავსი
მიდგომა არის გამოსავალი სამოქალაქო
საზოგადოების „სიცინწროების“ თავიდან
ასაცილობრდად.

მეორე და უფრო მნიშვნელოვანი საფრთხე იქნება ინდედგაცრუებაა. ფაქტია, რომ აზრის გამოთქმისთვის მეტი სივრცეა შექმნილი. მაგრამ არ ვიცით, შეისმინება თუ არა ეს ხმა. თუკი აღმოგაჩენთ, რომ ჩვენ სურვილებს არავინ ითვალისწინებს არსებული

ენთუზიაზი შეიძლება შემცირდეს. მიუხედავად ჩემი სიმატიკისა საზოგადოების მუდმივი ჩართულობის მიმართ, დღევანდელ აქტიურობას ახასიათებს ისეთი შეარევითი რაც თავისთავად გამორიცხავს სამოქალაქო საზოგადოების მიზნების შესრულებას.

მაგალითად, რექტორის კანდიდატურის
ირგლივ აგორებული კამპანია გაუმარ-

■ „ლაპორატორია 1918“ აძ.

ეტაპზე ძალიან კარგი მაგალი-
თია არაერთფურადი მოძრაო-
ბის, რომელმაც პატიმრების

წამების ირგვლივ გამართული

პროტესტების, და არჩევნების
ჩატარების შემდგომ გააგრძ-
ელა დაუცველი ჯგუფების
მხარდაჭერა. მსგავსი მიღება
ბევრად უფრო ნაყოფიერია, ვი-
დრე კონკრეტული პიროვნებების
დანიშვნა/ჩამოხსნის კამპანიები.

არასამთავრობო ორგანიზაციების აქტერუ-
რობა, რადგან ისინი უფლებადასაცავია ინ-
ტერესებს წარმოადგენერო. ამ შემთხვევაშიც,
უფრო მნიშვნელოვანია ვიზურუნით იმაზე,
რომ მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების
ინტერესთა გათვალისწინების ინსტიტუ-
ციონალიზაცია, ვიდრე რომელიმე კანდიდა-
ტის ერთჯერადი მხარდაჭერა.


თუ ჩვენ დავისახავთ არარეალურ მიზნებს, თუ ჩვენ დავრჩებით ერთჯერადი აქტიურობის საზოგადოებად, ვერ ავიცილებთ ფრესტრაციას. „ფეისბუქი“ და სხვა ყველა კომუნიკაციის წყარო დაუბრუნდება თავის ტრადიციულ ფორმას – ჩვენი წუნქტისა და მოთქმის, მეტი კრიტიკის და ნაკლები მობილიზების სივრცეს.

ამ სცენარის თავიდან ასარიდიდებლად, ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს, და მგონი კეთდება კიდეც. აქედან რამდენიმეს შეგახსენებთ.

პირველი – უნდა ვიფიცეროთ სამოქალაქო ჩართულობის ინსტიტუციონალიზაციის გზებზე. მეორე – სკოლს აქტივობაზ მიღლოს ორგანიზაციული ფორმა, ანუ შეიქმნას მოძრაობები, რომელიც არა მხოლოდ ერთი საკითხის ირგვლივ შეიყრიბება, არამედ ექნება განერილი ტაქტიკა, სტრატეგია და რიგი საკითხების ირგვლივ სახელმწიფოზე კონტროლის დაწესებას დასახავას მიზნად. მესამეც – უნდა ვეცადოთ სამოქალაქო აქტივობის არეალი გაფართოვდეს, და თბილისოცენტრიზმი შენელდეს. „ლაბორატორია 1918“ ამ ეტაპზე ძალიან კარგი მაგალითია არართულერადი მოძრაობის, რომელმაც პატიმრების წამების ირგვლივ გამართული პროცესტების, და არჩევნების ჩატარების შემდგომ გააგრძელა დაცველი ჯგუფების მხარდაჭერა. მსგავსი მიღვიმა ბევრად უფრო ნაყოფიერია, ვიდრე კონკრეტული პიროვნებების დაწინება/ჩამოსხინის კამპანიები. წინასაარჩევნო პროცესტებს და მობილიზაციას ქართული ოცნების მხარდაჭირებია „ამრაკლობონი“.

იმედს ვიტოვებ, რომ საზოგადოება შეძლებს მობილუზაციას არჩევნების შემდგომაც, და იმ ინიციატივებს, რასაც დღეს „ლაბორატორია“, „გულდაშვილის“ თუ სხვა მოძრაობები იცავენ, გვერდში დაუდგებიან. ამ გზით შესაძლებელია დემოკრატიულობის ნიშნები და მედიაში ხილვადობა შევინარჩუნოთ. **ც**

პარამუში



ბექა ქურხული
მწერალი



ფოტო: სამირა გურია

დიდია. გრანდიოზული. მწვანე. დაკი-დებული ბალებით. სემირამიდას, ბატონი. გოლფის მოედნებით. დამშრალი აუზებით. დაუსრულებელია. მის მინის კედლებზე პარლამენტის სხდომის დროსაც კი კიდინ გუნდ-გუნდად მუშები და კაცმა არ იცის, რასა სჩადიან. თუმცა არსებობს გონივრული და საფუძვლიანი ეჭვი, რომ სულ დედას იგინებიან. გარედან კი ეს ჩვენი სიდიადეა, დიდის წვალებითა და ლეთის წყალობით მოკლულ, საშინელ და იდუმალ მწვანე პრეისტორიულ ცხოველს რომ ჰგავს.

აგდია კოლხეთის ლალად გაშლილი ცის ქვეშ ქუთაისის გარეუბანში, და ქერცლიშუშები მზეზე ლაპლაპებს. შუაში კი უცნაური თეთრი ზოლი გასდევს, როგორც გურამ დოჩანაშვილის, ან ამ პარლამენტში გადმობარგებული იდიოტი გმირები იტყოდნენ, „მუქ წითელ ხაზად“. ეს თეთრი ზოლი ორ არათანაბარ ნანილად ჰყოფს პარლამენტად წოდებულ ამ უზარმაზარ, მწვანე საოცრებას, რაც კიდევ უფრო ადასტურებს მის კეთილშობილურ, არამინიერ, კოსმოსურ ნარმოშობას და დანახვისთანავე ბუნებრივ მოწინებას აღიძირავს უბრალო მოკვდავსა და ბოგანო ადამიანს.

ახლა შიგნით. წელან მოგახსენეთ, გრანდიოზულია-მეთქი. შევმცდარვარ. ძალიან გრანდიოზულია. ერთი ადგილიდან უნდა შებრძანდეთ, მეორედან გამობრძანდეთ. ესეც კიდევ ერთი დასტური ამ ჰაეროვანი ნაგებობის არა-ამქვეყნიურობისა. ამ შესასვლელსა და გასასვლელს შორის მანძილი ლამის ერთი კილომეტრია. ანუ, როგორც ეკა ხოფერია იტყოდნა, ანუ, რომ შეხვალ და ვთქვათ რაიმე დაგრჩა, ან უკეთე-

სი, ალარ გინდა ამ უცნაური არსების სტომაქში ყოფნა და ისევ კოლხეთის გადაშლილ ცას გინდა თავი შეაფარო, ნურას უკაცრავად! კარგი ერთი კილომეტრიც უნდა დაპკრა ვიდრე გასასვლელს გააგნებ, ქუთაისელი დაცვის თანამშრომლის ალალი იმერული მობოდიშების თანხლებით: „ჯერ ჩვენც დოულაგებლები ვართ, ერთმანეთსაც არ ვიცნობთ, საიდანაც შემობრძანდით იქანა უნდა ამოგშალონ. რა გიყოთ, აპა, რა გისაშველოთ. დასარეკად ა, ხედავ აქ სადმე ტელეფონს? არ მაქვს. ერთმანეთსაც არ ვიცნობთ ჯერ, გეფიცები ყველაფერს...“

გაუყვები მადლიერი და თვალცრემლიანი ამ ერთი მეტრიან სავალ გზას. გზა მიხვეულ-მოხვეული, შუქ-ჩრდილებიანი და ბუნდოვანია როგორც, გზა გალოოთებული შემოქმედისა. თავად გზაც ერთობ შემოქმედებითია, სულ შედევრები გამახსენდა. „გზას ვამბობ, თორებ რა გზაა, ვიწრო ბილიე მთებისა...“ აპ, არ ვაჭარბებ, ვიწროობა ვინ დააბრალა, ამ ფართო, შიგადმიგ ჩაბნელებულ და მერე მოულოდნელად, განათებულ მიხვეულ-მოხვეულ და დახლართულ ტალანებს. ე, შე არიფო! რა

თქმა უნდა. ლაბირინთები, ცნობილი ლაბირინთები, აი, თურმე რატომ იყურები აქეთ-იქით შემფოთებული, ქვეცნობიერში ჩარჩენილი ძველისძველი შიშით, რომ ამ რომელიმე შუქ-ჩრდილ დაკარგული ბეტონის და შუშის ერთმანეთზე აჩონჩხლოლი მოსახვევიდან მინოტავრი არ გამოკუნტრუშდეს და არ დაგჩხვეროს, რქებზე არ აგავოს, როგორც ბევრი და უბედურიო. თეზევსის იმედზე მტერი იქნა. რომ შეაგვინდეს, რას იქმ შერკ?

როგორც ლაბირინთებს შეეფერება, პარლამენტის შენობაში, სრული უპაერობაა. აი, სად არ ვაჭარბებ არაფერს. პარლამენტის შენობაში ჰაერი უბრალოდ არ არის. არ არსებობს. არ სუფევს „ცის კამარაზე“, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ახალ პარლამენტს არა აქვს ფანჯარა. უბრალოდ არა აქვს და მორჩა. არცერთი! რა ფანჯარა და ჰაერი, თქვე გომები და ბნელებო 21-ე საუკუნეა, რაღა დროს ფანჯარა, სარკმელი და ფოთოლთ შრიალიან და ასე ბატონო! ჰაერი არ არის. უფანჯროდ და უსარქმლოდ კი ამხელა შენობის ვენტილაცია იმხელა თანხა ჯდება, მაგდენი თვლა მთელმა ჩვენმა პარლამენტ-

მა არ იცის თავის აპარატიან-დამლაგე-ბლებიანად.

შეგწმივიეთო. შეეჩინენ კი-დევ მეჩეუბებით, რატომ გიყვარს ეს ქართველები, რათა ხარ ნაციონალისტიო. აბა, როგორ არ მიყვარდნენ? ყველაფერს ეჩვევიან. აბსოლუტურად ყველაფერს შეიძლება მიეჩიონ. უჟა-ერობასაც კი. „არ ვისუნთქებ, ბოლო-ბოლო, რა პრობლემა!“ თან აგიხსნის – „ხელფასის პონტში, თორქემ ამის დედა არ...“

სხვათა შორის, მთლად ამის დედა არ მიეკადრებია, მაგრამ პარლამენტში ყოფნის და მით უმეტეს სხდომაზე დასწრების შემდევ, როდესაც ვუყურებდი ჩვენი ლიპებგადმოგდებული დეპუტატები, გინდა უმცირესობიდან, გინდა უმრავლესობიდან, ერთ ადგილს რომ ძლივსლა სძრავენ და დარბაისლუ-რად დაგოგმანებდნენ და კიდევ უფრო დარბაისლურად კამათობდნენ, სულ ნაირ-ნაირი, ოხერი და ბანდიტი დაქტა-

ტორების გამონათქვამები გამახსენდა: დემოკრატია და პარლამენტი ის არის, როდესაც 10 სულელის აზრი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი ჭევიანის... „ეს უსაქმური და ხარპი ყბედები, რომლებიც საკუთარ თავს პარლამენტარებს უწოდებენ და თავის უაზრო ქაქანს ასე ძვირად ყიდიან ხალხზე! თუ-მცა, მყის მოვედი გონს. აბა, იმ შეჩვენებულ დიქტატორებს ხომ არ დაუუჯერებ? მერე რა, რომ სულ ერთმანეთზე გამზღვები იყვნენ. ისევ დემოკრატიის მამად ალიარებული და ასევე დარბაისლურად ჩამირგვალებული სერ უინსთონ ჩერჩილის ცნობილი ფრაზით ვინუგეშე თავი: „დემოკრატიაზე კრეტინული და უაზრო პოლიტიკური წყობა არ არსებობს, მაგრამ სამწუხაროდ, კაცობრიობამ დღემდე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრაო“.

ამასობაში, გამოვაღწიე ჩვენი წარმტაცი და ნათელი პარლამენტის შენობიდან და ღრმად ჩავისუნთქე სუფთა

ჰაერი. იქვე მუშები პურსა სჭამდნენ და ტკბილ იმერულად უბერავდნენ. მაგათ შემყურეს კი კიდევ ერთი მკრებელური აზრი მომიტიდა თავში. რა და ისა, რომ, ეს პოლიტიკოსობა მაინც ხელმოცარული ხალხის საქმეა, ყოველ შემთხვევაში ჩვენში, ვინც ვერ მოახერხსა ყოფილიყო მუშა, მწერალი, მხატვარი, ჯარისკაცი, ექიმი, მძღოლი, მსახიობი, რეჟისორი, ინჟინერი, პოეტი, ბიოლოგი, ქურდი, ქუჩის ბიჭი, ლოთი, რავი უსაქმური – გახდა პოლიტიკოსი და ახლა არის ამ პარტიაში, მერე იმ პარტიაში, მერე ამ მოწვევის პარლამენტში, მერე იმ მოწვევის პარლამენტში აძლევენ, იღებენ, ხმებს, რაღაცებს! აუჳ... არა, მართლა სჭირდებათ მაგათ იმუნიტეტი. ჩვენ კი, ღმერთმა დაგვიფაროს! ამოჩაჩულ პერანგზე კურტკა შემოვიცვათ და ჩვენს გზას ვენიოთ!

P.S. მართლა, კატეგორიულად მოვითხოვ ბარი ახალიას დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. ☐

Radio Commersant

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის კარსონალური რადიო

Commersant.ge

ლამ-ლამობით, ლამ-ლამობით, თქვა ჩვენ!

კახა თოლორდავა
შურნალისტი



ის ფილმი გემახსოვრებათ, „შესანიშნავი,“ უან-პოლ ბელმონდო ხელმოცარულ მწერალს რომ თამაშობს, მაგრამ მაინც ახერხებს უალინ ბისესაირი ქალის მოხიბვალს. უფრო სწორედ, ამას მისი ყველა წარუებატებული წიგნის პერსონაჟი ბობ სენკლერი ახერხებს. სენკლერი-პერსონაჟი ყველაფერი ისაა, რაც წიგნის ავტორი, ფრანსუა მერლინი ვერაა ცხოვრებაში, – მომხიბვლელი, ჯან-ღონით საგას სუპერმენი, რომელსაც ყველაფერი გამოსდის, ნებისმიერი დავალება – რამდენადაც როაული არ უნდა იყოს. ფრანსუა, მისგან განსხვავებით, საკუთარი ბინაში ელექტროგაყვანილობის და სანტექნიკის შეკეთებასაც კი ვერ ახერხებს, გამოძახებული ელექტრიკოსები და სანტექნიკოსები ხან რას იგონებენ და ხან – რას, იმისთვის, რომ მის ბინაში სამუშაო თავიდან აიცილო. იმ უბედურებმა არ იციან, რომ რა წამს კი ისინი ფრანსუას ბინას ტოვებენ, ისინი ფრანსუას შემდგომი წიგნის უარყოფით პერსონაჟებად იქცევიან, რომელშიც ბობ სენკლერად ქცეული ფრანსუა უმოწყალოდ უსწორდება თოთოეულ მათგანს.

ვალიარებ, მეც მეყას ასეთი „პოროტ-მოქმედები“ ვისაც ქალაქში ხეტიალისას ვაწყდება ხოლმე და ვინაიდან ხშირად სრულად უმწეო ვარ ამა თუ იმ პრობლემის გადასაწყვეტად, მეც ფრანსუასავით წარმოდგენაში უსწორდები იმ საზიზლარ ადამიანებს. ჩემი სია ძალიან გრძელია, პირველ ადგილზე კი, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე ვიტყვი, სამუშაო საათებში ქალაქში მომუშავე საგზაო თუ სხვა სახის მუშაკები

არიან. არც კი მახსოვეს როდის დაიწყო ეს ყველაფერი, ალბათ ძალიან დიდ ხნის წინ, რადგანაც დღეს „უკვე „სერიოზულად“ გაბრაზებული ვარ და მოურიდებლად ვიტყვი, რომ ფრანსუას მეთოდით ასამდე, თუ მეტი არა, ქალაქში მომუშავე საგზაო მუშა და უფროსი მყავს „მოკლული.“ დაუწიმებლად, ხაზგასმული სისატიკით.

„გაიარეთ!“ გაიარეთ! დროზე, დროზე, თქვე ჩემა! – გვიყვირის შუა გზაზე ჩამდგარი ტყავის ქურთუკიანი გაუქარსავი მამაკაცი სხვადასხვა ტრანსპორტის მგზავრებს. ჩეგი ალბათ უკვე ასე უცი წუთი იქნება, საცობში ჩაქედილები ვდგავართ სწორედ ამ კაცის და მისი რაზმის წყალობით. ისინი გაფუჭებული ასფალტის მონაკვეთებს ახალი ასფალტით ავსებენ. დღის სამი-ხუთი საათია, ქალაქი მანქანების, ნებისმიერი დავალება



ბითაა სავსე. დარწმუნებული ვარ, არავინ ფიქრობთ ისე, თითქოს პრეტენზია მქონდეს, რომ მარტო მე ვამჩრევე ამ ყველაფერს. თბილისელები სულელები ნამდვილად არ არიან. „რაა ეს, რა უბედურებაა, – წუწუნებს ქალბატონი იმ მანქანაში, სადაც მეც ვზივარ, – არ შეიძლება სხვა დროს გააკეთონ ეს ყველაფერი?“ „სხვა დროს, ქალბატონ. – უხსნის მძღოლი, – უფრო მეტი უნდა გადაუხადონ!“ დარწმუნებული ვარ, ასეთი დიალოგი სხვა ტრანსპორტშიც ისმის, მოქალაქები ცდილობენ გაიგონ, თუ რადა მაინცდამანც დღის ხუთ საათზე უნდა გაკეთდეს ეს ყველაფერი. ტყავის

ქურთუკიანი კაცი კი. გზის იმ მონაკვეთის ბატონ-პატრონი და მოძრაობის მარეგული-რებელი, ყვერილს აგრძელებს, – „დროზე, დროზე, თქვე ჩემა!“ ის გაბრაზებულია. ჩვენ ხომ იმ ბატონს ხელს ვუშლით. მე აუცილებლად მოუკლავ მას! არა, მე ამას უკვე ვაკეთებ, ეხლავე სანამ მანქანაში ვზიგარ!

ჩემს ფიტორქივში ქალაქში ხეტიალისას გადალებული უამრავი ფოტოა, რომლებზეც სწორედ დღის განმავლობაში მომუშავე გზის შემკეთებლები არიან აღბეჭდილი. ყველა ეს ფოტო ასახავს შემთხვევას, რომელიც სასწრაფო და გადაუტებელი არ ყოფილა. ამით მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ქალაქში, რომელიც მანქანების რაოდენობას ვერ აუდის, საგზაო სამუშაოების გარკვეული ნაწილი (არ ვიცი, რამდენი, გამოძიებითი შურნალისტიკა ჩემი საქმე არა) სწორედ დღის განმავლობაში სრულდება ხოლმე. შედეგად, კიდევ უფრო გაძეგილი გზები და განერვიულებული მოქალაქეები. დანარჩენი თქვენ უკვე ყველაფერი კარგად გეშმით. მეც მესმის, რომ მიწვენელობანი თემებით დახუნდლაულ საქართველოში ყველაფერი ეს უმნიშვნელოდ შეიძლება მოწვენოს ვინმეს, მაგრამ რამდენადაც ვხვდები, ეს უმნიშვნელო თემები კარგად გვიჩვენებს,

თუ რა და ვინ ვართ.

აი, ახლაც, დღის პირველი საათია, მეტაქსიში ვზივარ, ჩეგი წინ მანქანების ძალიან გრძელი მნერივია. რა ხდება? პიჭები ნაგავს აგრივებენ ფალიაშვილის ქუაზე. სანაცვე მანქანას მთელი ქუჩა აქვს ჩახერგილი. ერთი კონტეინერი, ორი კონტეინერი, სამი კონტეინერი, ოთხი კონტეინერი! მიუხედვად იმისა, რომ ამ დროისთვის ორივე უმოწყალოდ მყავს დანანერებული და მდინარეში გადაგდებული, მაინც ვერ ვითმენ, ფანჯარას ეწევ და მთელ ხმაზე ვლრიალებ: ღამ-ღამობით, ღამ-ღამობით, თქვე ჩემა!



www.ucnobifm.ge



ეცალე დაინახო გეფე